



# საქართველოს ქართულმუსიკათმცოდნეობის ჟურნალი

ბაზმის 1992 წლის იანვრიდან

№3 (49), ივნისი

2014 წელი

ქორეოლოგია — ქორეოგრაფია — საზოგადოება

C  
M  
Y  
K

## ჯემალ აბ.11 ნაგროზაშვილის ხსოვნის სიღრმე



## ღანაბებს მიღმა კანაბა ხანია გაზაფხული აღარ ღვას

### ბედიატორის გვერდი

*ბეიბუღალი მკობეიძე,*

ჩვენი გაზეთის წინა ნომრის სარედაქტორო გვერდზე განვითარებულ მსჯელობაში იმის გარკვევას ვცდილობდით თუ რა ბედი შეიძლება ენიოს ფოლკლორულ კულტურას, კერძოდ, ხალხურ ცეკვას სახვადიოდ, ანუ გლობალიზაციის ეპოქის ცივილიზაციური ყოფის პირობებში. ვისაც აღნიშნული წერილი წაკითხული აქვს, უსათუოდ შენიშნავდა, რომ იქ ჩამოყალიბებულ დებულებებში ზოგადმეთოდოლოგიური გააზრების დონეზე მონიშნული იყო ე.წ. სცილასა და ქარიბდას შორის გასაძვრომი გზის ის კონტურები, რომელმაც ტრადიციული კულტურული ფასეულობანი უნდა გაიყოლიოს და სამშვიდობოსაც გაიყვანოს. დრო და მასთან დაკავშირებული რეალობები აჩვენებს, რომ ამგვარი მიდგომა არსებითად სწორი და გამართლებულია, თუმცა იგი არასაკმარისი პირობაა პრობლემის სიმწვავის ბოლომდე გასააზრებლად, ამიტომ საჭიროა წინ წაგინოთ და მოვლენებს სხვა, პარალელური რაკურსიდანაც დავაკვირდეთ.



ოლეგ ალავიძე

ბის განვითარებისათვის აუცილებელი სოფლის პატრიარქალური ყოფისათვის დამახასიათებელი ატრიბუტები, ინფრასტრუქტურა და სულისკვეთება მოიშალა. მოხდა ისე, რომ ინდუსტრიული საზოგადოების პირველი ნიშნების გამოჩენისთანავე დაიწყო სოფლის ნგრევა და თუ აქამდე საუკეთესო ფოლკლორისტა კადრებით ქალაქი სწორედ სოფლიდან მარაგდებოდა, ახლა პირიქით – საჭირო გახდა განსწავლული ფოლკლორისტებით სოფლების უზრუნველყოფა. სამწუხაროდ, თავის დროზე აღნიშნული ტენდენციის გამოჩენის ფაქტი ბევრს გამოეპარა, თუმცა ასეც რომ არ ყოფილიყო, რისი შეცვლა თუ შეკავება მოხერხდებოდა, ეს კიდევ საკითხავია.

ბუნებრივია, ჩნდება კითხვა – რა ხდება დღეს, რა ხდება მიმდინარე ეტაპზე და საით იხრება ტრადიციული ქართული ფოლკლორული ხელოვნების არსებობის ვექტორი? ჩვენ აქ, ანუ მოცემულ კონტექსტში საგანგებოდ არ ვიყენებთ ფორმულირებას „ფოლკლორული ხელოვნების განვითარების ვექტორი“, რადგან, მიგვაჩნია, რომ „ფოლკლორის განვითარება“ საერთოდ შეუძლებელია და თუ ამგვარ ცდას ადგილი მაინც ექნება, იგი აუცილებლად გავა დრო-ჟამის ფარგლებიდან, შეიძენს მისთვის უცხო ელემენტებს და თვისებრივად სულ სხვა მოვლენად იქცევა.

როდესაც აღნიშნულ საკითხზე საუბარი ჩამოვარდება კოლევიალური აზრგაზიარების დროს ხშირად ჩნდება, ჩვენი აზრით, სრულიად ლეგიტიმური კითხვა – იმას, რასაც ახლა ჩვენი სახელოვანი ანსამბლები ცეკვავენ, შეიძლება ფოლკლორის კვალი-ფიკაცია მიეუყენოთ? ეს ყველაფერი შეიძლება ფოლკლორად იწოდებოდეს? იქნებ საქმე ფოლკლორულ ძირებზე ამოზრდილ თანამედროვე სასცენო ცეკვასთან გვაქვს? და ა.შ.

დასამულ კითხვებზე პასუხის გაცემა იოლი საქმე არ გახლავთ, იგი საგანგებო დაფიქრებას მოითხოვს და მეორეც, ჩვენ დღეს ყველანი, ერთბაშად და ერთობლივად შევედით მსოფლმხედველობრივი ძვრების ეპოქაში. აქედან გამომდინ-

## კვადროგრაფიკული ფორმის ტვირთვა და



აბ.3

## პასუხისმგებლობა

აბ.4

## ტაკვა სოკუმი — საყაროს პარკონიზაციის მოღვაწე




აბ.9

## ხალხური ტაკვის

## სინეინდისათვის!

## მითი და მისი მხატვრული ფუნქცია

აბ.12





# ღარიბებს მიღმა კარგა ხანია გაზაფხული აღარ ღვას

1 83

არე ძნელია სახელმწიფო-ბრივ-საზოგადოებრივი მსოფლმხედველობის იმგვარად დანმენდა-დასუფთავება, რომ ერთიან კალაპოტში მოაქციო საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნები და ტრადიციულ ღირებულებათა შენარჩუნების აუცილებლობა.

თვით საუკეთესო განზრახვებებისა და მონდომების შემთხვევაშიც კი ამის გაკეთება იოლი არ არის, რადგან უაღრესად მწირია სახელმწიფო-საბიუჯეტო ასიგნებანი, ხოლო კერძო ბიზნესი, როგორც წესი, შოუკულტურის კატეგორიებით აზროვნებს. მაშინაც კი, როდესაც ეს უკანასკნელი ტრადიციული კულტურული ღირებულებებისათვის მოიცლის, აღნიშნული საქმისათვის ხელის ნასამუხებლად ნარჩენებს იყენებს, ანუ „ძირითად საქმეთაგან“ როგორც მორჩენილ და ეროვნული საკეთილშობილისათვის საკმაოდ უმნიშვნელო თანხების გამომეტება-გაღებას ძლივს ახერხებს.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით ერთგვარი პირველადი დასკვნის გაკეთება, ალბათ, უკვე შეიძლება და მას ასეთი სახე ექნება:

ფოლკლორული საცეკვაო კულტურის შემდგომი არსებობის საქმეს სერიოზულ ნინალობას უქმნის:

- ა) გლობალიზაციის ეპოქის მიერ მოტანილი პრობლემები;
- ბ) შოუკულტურის მოთხოვნები;
- გ) სოფლის პატრიარქალური ყოფისათვის დამახასიათებელი ატრიბუტების მოშლა და საქალაქო კულტურისათვის მისი მიმსგავსებულობის ხარისხის ზრდა;
- დ) საბიუჯეტო ასიგნებთა სახელმწიფო ნილის განუხრელი შემცირება;
- ე) სისტემური, მრავალთვლი ნელზე გათვლილი სამუშაოების ერთგვარად ღონისძიებებით ჩანაცვლების ტენდენციის ცხოვრების წესად ქცევა და მეორეხარისხოვანი პირველადის გადაფარვის თავშესაქცევი მოვლენებისათვის თვალ-ყურის შეჩვევა.

აქ მოტანილ დასკვნათა რაოდენობრივი ჩამონათვალის გაზრდა კიდევ შეიძლება, თუმცა ეს ბევრს არაფერს მოგვცემს. ამიტომ საჭიროა ნათქვამიდან ყველაზე ძირითადი დებულება ჩამოვძერწოთ და მასში შემავალი პრობლემების ჩაღრმავებულად განხილვის განწყობილებაზე რეაგირების მექანიზმების განმტკიცებაზე ვიფიქროთ.

მინც რა იქნება ეს უმთავრესი დასკვნა? იქნებ ვაზიადებდეთ და საქმე არც ისე რთულადაა, მაგრამ დევნივება, რომ ქართულ ტრადიციულ საცეკვაო ფოლკლორს (და არა მარტო მას!) უფრო რთული ბედი და მომავალი წინ ელოდება. ის რაც აქამდე იყო, შეიძლება ქართული ფოლკლორული კულტურის რენესანსი აღმოჩნდეს, რომელსაც აუცილებლად მოჰყვება და ვგონებ უკვე მოჰყვა, გვიანი ალორძინება, მერე მანიერიზმი ანუ სტილური დეველაცია და ბოლოს ხელში შინაარსისაგან დაცლილი ის გარსი შეგვრჩება, რომელიც აღარც წარსულთან იქნება ორგანულ კავშირში და ვერც მომავალს ეტყვის სანუგეშო სიტყვას.

შეიძლება ფერები მეტისმეტად გაავაშუქეთ, მაგრამ მოდით ნუ დავივიწყებთ, რომ „ტრადიციული საცეკვაო ფოლკლორი“ მუდამ ძველი სახით ვერ დარჩება, იგი ახალ მოთხოვნებს უბრალოდ ვერ გაუძლებს, რადგან დრო-სივრცის გარემოებები, ღირებულებათა შკალაზე მიმდინარე რყევები სწორედ „ტრადიციულს“, სწორედ „ფოლკლორულს“ თუ „ავთენტურს“ უტყვის და ამ გზით მოსული პრობლემების მოგერიება დღითიდღე რთულდება. მარტივად თუ ვიტყვით დარტყმის ქვეშ ექცევა არა საზოგადოდ ცეკვა, არა საზოგადოდ პლასტიკურ-აუსტიკური რანგის სასცენო სახილველი, არამედ მისი ტრადიციულ-ავთენტური ნაირსახეობანი და, შესაბამისად, სამომავლო ყოფის ტენდენციები.

### რაკურსი, არც მიღალ მოულოდნელი

ქართული საცეკვაო ფოლკლორის ბედით დაინტერესებულ არაერთ სპეციალისტს უთქვამს და დაუწერია კიდევაც, რომ

როდესაც დროის საათზე გლობალური, სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის მიერ მოტანილი მოთხოვნები პირველობს და სანუკვარი წარსულის გადარჩენისათვის აუცილებელი ბუნებრივი პირობები ხელს აღარ გინყოფს, მაშინ ყველაფერ ამას „ხელოვნურად ორგანიზება“ ანუ სასწავლო-აღმზრდელობითი ქრილში გადატანა ესაჭიროება.

აღნიშნულთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ უკანასკნელი თუნდაც ხუთი ათწლეულის მანძილზე ფოლკლორული ხელოვნების სწავლების და აღმზრდელობით საქმიანობაში მისი გამოყენების პრობლემტიკა არც თუ ცუდად იყო დაყენებული, ე.წ. ქორეოგრაფიული წრეები, სტუდიები და მათი მსგავსი სხვა გაერთიანებები ფუნქციონირებდა ლამის ყველა სასწავლო-აღმზრდელობით დაწესებულებაში, ტარდებოდა კონკურსები, დათვალიერებები, ოლიმპიადები და ა.შ.

შეიძლება ითქვას, რომ სასწავლო-აღმზრდელობით საქმიანობაში ფოლკლორული კულტურის გამოყენებას მეტ-ნაკლებად სისტემური სახე უქონდა. სამუხაროდ, აღნიშნულ მოვლენებზე საუბარი უკვე წარსულ დროში გვიხდება, რადგან უკანასკნელი ორი ათწლეული ნილის განმავლობაში ეს ყველაფერი თითქმის მოიშალა, ხოლო XXI ს-ის დასაწყისიდან მინც, სისტემურობის ყოველგვარი ნიშან-წყალი ქარსა და ნიავს გატანებული აღმოჩნდა.

ჩვენი წერილის პოტენციურ მკითხველს, ვისაც 2000-იანი წლების ღია პროცესები ახსოვს, უთუოდ ისიც ესხომება, რომ 2004 წლიდან ახალმა, ფორმითაც და შინაარსით გამორჩეულმა ხელისუფლებამ ბოლომდე ორიგინალური რომ ყოფილიყო, სერიოზულად მოჰკიდა ხელი განათლების სისტემის რეორგანიზაციის საქმეს.

დღევანდელი გადასახედიდან რომ ვუყურებთ, მაშინდელი ხელისუფლების საქციელის ახსნა და გაგება კიდევ შეიძლება, თუმცა მისი გათავისება ჭირს. საქმე ისაა, რომ, როგორც ახლა ირკვევა, იდეოლოგიური თვალსაზრისით ეს მოქმედება უანგარო არ ყოფილა, იგი, თურმე, გარკვეული პოლიტიკური მოსაზრებით ხორციელდებოდა და, შესაბამისად, შორს მიმავალ მიზნებთან იყო დაკავშირებული.

პირველსავე ეტაპზე, როგორც გვახსოვს დამტკიცდა ე.წ. „ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები“ (მკითხველს ალბათ ახსოვს, რომ ცნება „ეროვნული“ ნაცებს მეტის-მეტად ეფიქრებას, ოღონდ მისი შინაარსი ყოველგვარი „ეროვნულისგან“ დაცლილი სახით უკონდათ გათავისებულ-წარმოდგენილი). ახლა რეფორმის მთლიან მოცულობაზე საუბარი შორს ნაგვიყვანდა, ამიტომ დროებით აქ შეჩერდეთ და ხაზი იმ ფაქტზე გაუვსვით, რომ ნაციონალების საგანმანათლებლო კონცეფციაში საერთოდ დაიკარგა „აღზრდის“ პედაგოგიური ცნება.

გარკვეული აზრით ეს, მართლაც მოულოდნელი რაკურსით მოვლენათა განვითარებაზე მიუთითებდა, თუმცა მალე მათელი გახდა, რომ აქ მოულოდნელობა არაფერ შუაში ყოფილა. ეს იყო მიზანმიმართული, სისტემურად ნეგატიური მიმართების გამოვლენა იმ ტრადიციებისა და, საერთოდ, წარსულისადმი, რომელიც ეროვნულ ღირებულებებთან ახალგაზრდობის „მიმშულოს“ ზნეობრივ და ესთეტიკურ შინაარსს განაპირობებდა.

მაშინდელმა ხელისუფლებამ ნამოწყებულ საქმეთაგან ბოლომდე მისაყვანად რამდენიმე გეგმაზომიერი (ე.ი. „გააზრებული“) ნაბიჯი გადადგა. კერძოდ, ხელის ერთი მოქმედებით დაშალა და მოშალა ყველა ის სტრუქტურა, რომელსაც „პედაგოგიკასთან“, „პედაგოგობასთან“, „აღზრდასთან“ უკონდა ან შეიძლებოდა უკონდა საქმე. დაიხურა ყველა პედაგოგიური პროფილის უმაღლესი სასწავლებელი, მათ ბაზაზე მოქმედი ფაკულტეტები და კათედრები.

გაუქმდა სამეცნიერო-კვლევითი სტრუქტურები, პროფილი შეეცვალა გამომცემლობებს, სრულიად განადგურდა კვალი-ფიკაციის ანაღლებისა და გადაზღვრების

სისტემა, გაიყიდა, რაც გასაყიდი იყო, ხოლო რისი გაყიდვაც ვერ მოესწრო ის ბაზები, უბრალოდ, ნადგურისცემის რეჟიმში გადავიდა...

დროსა და მისით მოტანილ მოთხოვნებს თავისი ლოგიკური სვლის მკაცრი დიალექტიკა განსაზღვრავს. თაობები მიდიან და, მადლობა ღმერთს, თაობები მოდიან კიდევაც. ახალმოსულებს კი დახვედრა და გზის გაკვლევა ესაჭიროება. ეს საჭიროა, თუნდაც იმიტომ, რომ რა ზემოქმედების წნეხის ქვეშაც არ უნდა მოაქციო და რა „ნულოვანი ტოლერანტობის“ კამპანია არ უნდა ჩაატარო, დრო მინც თავისას გააკეთებს. ახალგაზრდული ენერჯია არ მოისვენებს, ბორგვასა და შოთს არ მიატოვებს და ისეთ გამოსავალს იპოვის, შენ რომ არც დაგესიზმრებოდა. ამიტომ კარგად მოწყობილ საზოგადოებაში ამ ტიპის ენერჯიას არა შეგუბება, არა ჯებირების აღმართვა, არამედ სადინარების მოძებნა და შეხსნა ესაჭიროება.

როდესაც მეცნიერული კვლევა-ძიების სისტემას მოშლი, როდესაც შენ თვითონ მძლავრი სამეცნიერო ცენტრები (ცენტრი) არ (აღარ) გაგაჩნია, როდესაც თელი, რომ გლობალიზაციის ეპოქის პრობლემტიკის საყოველთაობის გამო დაგეგმილ მიზნებზე გასვლა ყველას მხრიდან ერთი ყაიდის გზის გავლასთანაა დაკავშირებული, შენს მიზნებს, შენს საფიქრალსა და საკეთებელს იოლად უკავშირებ შენაირების ან შენზე უკეთესების ბედს.

ნაცემობრიობისათვის მიბაძვის ღირსი (სიტყვით მინც!) ყოველთვის იყო ღირებულებათა ევრო-ატლანტიკური სივრცე. ამის გამო განათლების სისტემის რეფორმირებისას ყველა ძირითადი პარამეტრი, ორიენტირი თუ სასიძალო ნიშნული სწორედ აღნიშნული სივრციდან იქნა აღებული-შემოტანილი. თავისთავად ეს პრინციპი, შეიძლება, გარკვეულ დროსა და სივრცეში მისაღებიც კი იყოს, მაგრამ არა ყველგან და არა ყოველთვის. შეუნყნარებელია იმ გარემოების დაინყება, რომ ევრო-ატლანტიკური სივრცე პრობლემათა საერთო რიგთან თვითონ, საკუთარ რეალობებზე დაკვირვების გზით მოვიდა. მარტო ის ფაქტი რად ღირს, რომ XX ს-ის პირველი ნახევრისათვის ამერიკამ და ევროპამ უკან მოიტოვეს კაპიტალისტური წარმოების გაშლის პირველი, თუმცა მნიშვნელოვანი ეტაპები, საფუძველი ჩაუყარეს კერძო საკუთრების ნაირგვარი ფუნქციონალური მოვლების დამკვიდრებას, დაამუშავეს ქარტიათა ვარიანტები, გაითავისეს დიდი განმანათლებლების, მათ შორის რუსოს, ვოლტერის, ჰეგელისა და კანტის, ასევე ნაირგვარი ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიური სკოლების მიერ დამუშავებული კონცეფციები... ყველაფერმა ამან ერთად აღუბოლოა ნიადგი მოუშადა ახალი ყაიდის ფილოსოფიურ-პედაგოგიურ აზროვნებას და შესაბამისი იდეოლოგიის დამკვიდრებას. თუმცა აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მოჩქარეებს, როგორც ეს ხშირად ხდება, ოდნავ მოუგვიანდათ და ბევრი რამ გამოუპარათ კიდევაც. აგერ, ახლა კალენდარზე მისის ბოლოა, ჩატარდა ევროპარლამენტის არჩევნები და, შეიძლება ითქვას, რომ ევროპაში განგამია. ამომრჩეველთა დიდმა ნაწილმა ხმა მემარჯვენე ორიენტაციის პარტიებს მისცა. ეს ის პარტიებია, რომელთა წევრებსა თუ მიმდევრებს უყვართ საკუთარი სამშობლო, საკუთარი ტრადიციები, ამაცობენ წინაპართა მიერ ნაკეთები საქმეებით და ა.შ. ევროპამომრჩეველთა მეორე, საპირისპირო ნაწილისათვის ე.წ. ლიბერალებისათვის ამგვარი გრძნობები უცხოა. მათთვის სულ ერთია ვინ იცხოვრებს მათივე წინაპრების სისხლით მორწყულ მიწებზე. რა ორიენტაციების იქნება იგი, რა აღმსარებლობას მისდევს, რა ღირებულებებს უტყერს მხარს და ა.შ. ადამიანი ხომ არის, ორი ხელი და ფეხი ხომ აქვს, გადასახადებს ხომ იხდის, დამოკრატიაზე და უფლებებზე ლაპარაკი ხომ შეუძლია... ეს და სხვა მისი მსგავსი მახასიათებლები სრულიად საკმარისია საიმისოდ, რომ ლიბერალურად განწყობილებმა ყველას და ყველაფერს ერთნაირ

თვლით შეხედონ!

ყველა მონაცემიდან ჩანს, რომ ჩვენი ქართული სახელმწიფოს განვითარების გენერალური ხაზი ზუსტად ამ მეორე გზით მიემართება და ამის საუკეთესო დადასტურებად პარლამენტის მუშაობის მაგალითი გამოდგება. ესაა კლასიკური ნიმუში იმგვარი მიდგომისა, როდესაც შენ ცხოვრებაში ყოფის ისეთ მოვლენებს ნერგავ, რომელიც ქვეყნის განვითარების ისტორიული ლოგიკიდან არ გამომდინარეობს, იგი უცხოა, თავსმოხვეულია, ამდენად ფუჭი და უმაქნისია თავისი არსით.

შეიძლება მავანმა იკითხოს – რა ჩვენი საქმეა ახლა პარლამენტის საქმიანობის განსჯა – სად ფოლკლორული ცეკვა და სად საპარლამენტო-საკანონმდებლო საქმიანობა? იკითხავს და, ერთის შეხედვით, მართალიც იქნება, მაგრამ საქმე არც მთლად ასე მარტივადაა. ყველაფერი რაც ქვეყანაში კეთდება ან უნდა გაკეთებულიყო, სათავეს სწორედ პარლამენტსა და სხვა მმართველობით სტრუქტურებში იღებს. სწორედ ამის გამო გვგონია, რომ ბევრი გაკეთებული გვერდით უამრავი გაუკეთებული საქმის არსებობის სათავე სწორედ იქ, რომელიც ჩაკეტილ კაბინეტებშია საძიებელი. შეიძლება ერთგვარ გადაჭარბებად გამოიყურებოდეს, მაგრამ ფაქტია, რომ ჩვენი საპარლამენტო სტრუქტურები, შესაბამისად მთავრობაც, რალაც იდეალურების ნიშნით დადღესამულ სპირიტუზს მიახლოებულ საქმიანობას ეწევა. ზოგჯერ მეჩვენება, რომ მის მუშაობას ვილაც, უცხოტომელ გადამთიელთა „კრეატიული დაგეგმარების ჯგუფი“ უძღვება. მათი მიზანი კი იმაში გამოიხატება, რომ პარლამენტში მუდმივი ციებ-ცხელების, მუდმივი ვითომ საქმიანი ფუთფუთის ატმოსფერო სუფევს, ოღონდ ყველაფერი ამის შედეგად ფუჭი სტაბილურობა, წრეზე ტრიალი და გაუთავებელი თავისმართლების, ნაცემობრიობის მიერ მარჯვედ მიგნებულ, თუმცა უსინდისო უტიფრობით დასმულ კითხვებზე ვითომპასუხების გაცემა. თვითონ განსაჯეთ – ნაციონალური მოძრაობის ლამის 10-წლიანი ბატონობის პერიოდში ქვეყანა, არსებითად, გაპარტახდა, დაიკარგა ტერიტორიები, ციხეები გაივსო ახალგაზრდებით, დაინგრა და მოიშალა საგანმანათლებლო სისტემა, გადამთიელებზე გაიყიდა ქართული მიწა-წყალი... ერი ამკარად გადაგვარება-გადაშენების საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. მიუხედავად ამისა ხალხმა კიდევ ერთხელ გადალო თავი და ახალი პარლამენტი აირჩია. რა გასაკვირია, რომ ასეთ სიტუაციაში ადამიანთა უმეტესობას იმედი გაუწნდა ეგების ნაწილობრივ მინც გამოსწორდესო მრუდედ ნაკეთები საქმეები. პარლამენტმაც გაიარა თვითდადგინების აუცილებელი პროცედურები და მიადგა ძირითად საქმეებს. ასეთთა შორის, როგორ გასაკვირველადაც არ უნდა მოგვეჩვენოს, უწინარეს ყოვლისა აღმოჩნდა ბუსუსებთან პრეზერვატივების „უაღრესად მნიშვნელოვანი“ თემა. სულ მალე ამას მოჰყვა მეორე და არანაკლებ პრინციპული საკითხი – გზებზე შუქამრეკლევი მოწყობილობით დამშვენებული ე.წ. „ნავაროჩენი ურმებით“ გადაადგილების სამართლებრივი უზრუნველყოფის პრობლემა.

ეს უკანასკნელიც ბოლომდე გააზრებული ჯერ კიდევ არ იყო და ცხელი ოხმივარი ასდიოდა, როდესაც ვილაც ჩემი ცოდვით სავსემ, სამეგრელოს ტყეებში ათასნაირი კასეტებით, დისკეტებითა თუ ჩანანერებით სავსე, ტალახსა და მავუთში ამოსვრილი „ბოჩკები“ აღმოაჩინა. შეიქნა ერთი გნისი, როგორ გავანადგუროთ ეს ყველაფერი, რათა ნაცემობრიობას ჩირქი არ მოუცხოს, სახელი არ გაუფუჭდეს, ვინმემ რაიმე ცუდად არ ჩამოგვაროთ და ა. შ. კიდევ კარგი, რომ ამ საქმეში მთლად განწირული არ ვყოფილვართ, რადგან მის გადაწყვეტას ხელი მოჰკიდეს ე. წ. არასამთავრობმა (ეს ის ხალხია დღე და ღამ მთავრობის კულუარებში თუ ღია კაბინეტებში რომ ათენალამებენ, ოღონდ სახელად მინც „არასამთავრობები“ ჰქვიათ!).



# პედაგოგობა დიდი ბვირით და პასუხისმგებლობა

პედაგოგის პროფესია ერთ-ერთი ურთულესი და პასუხისმგებლური ტვირთის შემცველი საქმიანობის სფეროა. შესაბამისად, დიდია ის ტვირთი, რომელიც პედაგოგის მხრებს აწევს. მან უნდა უზინამძღვროს და მანათობელი გზა აჩვენოს თითოეულ მოზარდს, რომელიც მისი ყურადღების არეში მოექცევა და პედაგოგისაგან რჩევა-დარიგებებს მოელის. კიდევ უფრო დიდია მოლოდინი, რომელიც პედაგოგისა და მშობლის ურთიერთშეთანხმებასთან არის დაკავშირებული. არიან მშობლები, რომელთაც ქორეოგრაფიულ წრესა თუ სტუდიაში საკუთარი შვილები უკვე 4 წლის ასაკიდან მოჰყავთ. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ასაკი ჯერ კიდევ საკმარისი არ არის სისტემური სწავლებისათვის, პედაგოგ-ქორეოგრაფთა უმეტესობა უძღვრება მშობელი უარით გაისტუმროს და პატარების აღზრდაზე არ იზრუნოს.

არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ქორეოგრაფთან ხვდებიან განსაკუთრებული ფიზიკური მონაცემებისა და ნიჭის მქონე ბავშვები. აქ პედაგოგის საზრუნავი შინაარსობრივად იცვლება, თუმცა ეს სრულიად არ აიოლებს საერთო მდგომარეობას, რადგან ასეთი ბავშვები, როგორც წესი, რთული ხასიათითა და ჭირვეულობით გამოირჩევიან.

აი, ყველაფერი ამის გათვალისწინებით ამბობენ, რომ რთულია პედაგოგის სევებედი, მისი სავალი გზა და პასუხისმგებლობის მასშტაბი.

სამწუხაროდ, რიგ მშობლებს, საერთოდ არ აინტერესებთ შვილების აკადემიური მოსწრება და დისციპლინა, ქცევის ნესები. პედაგოგი ყოველივე ამას განიცდის, ნერვიულობს, რომ არაფერი ვთქვათ პედაგოგის მიმართ ინდიფერენტულ და უპატივცემულო დამოკიდებულებაზე. აი, ასეთ გარემოში მუშაობენ თანამედროვე პედაგოგები.

აუცილებლად უნდა აღვნიშნავთ პედაგოგების მიმართ უწინდელი დამოკიდებულება, ყურადღება, პატივისცემა, დაფასდეს მათი შრომა სათანადო ანაზღაურებით. ასეთი მიდგომით ამაღლებს მათი ავტორიტეტი და კვლავ სანუკვარი და საოცნებო გახდება ჩვენი შვილებისა და შვილიშვილებისათვის პედაგოგის პროფესია. ეს ისევე ჩვენს მომავალს არგებს – იმ თაობებს, რომელთა გონიერებამ, აღზრდილობამ, პროფესიონალიზმმა უნდა გააძლიეროს, განამტკიცოს ჩვენი ქვეყნის ხვალისდელი დღე.

ქორეოგრაფიული გაკვეთილი არის ერთი აკადემიური საათი ანუ 45 წთ პირველკლასელთათვის, ხოლო ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლისთვის – ორი აკადემიური საათი ანუ 90 წთ. მაღალი ასაკის მოსწავლეთათვის შეიძლება დაემატოს 30 წთ. ეს ის დროის მონაკვეთია, როცა პედაგოგი ასაკობრივი ცენზის მიხედვით ადგენს და აყალიბებს სასწავლო პროგრამას, გეგმას და ამის მიხედვით აწარმოებს მოსწავლეებთან მუშაობას.

სასურველია გოგონების ჯგუფი ცალ-

კე მუშაობდეს, ვაჟების – ცალკე, რაც იძლევა იმის საშუალებას, რომ თითოეული სვლა, ილეთი და ილეთთა ნაერთი საფუძვლიანად იქნას შესწავლილი.

ორი-სამი წლის მუშაობის შემდეგ, პედაგოგი აკეთებს თავისი ნაშრომის ანალიზს და ამის შემდეგ იღებს გადაწყვეტილებას თუ რომელი მოსწავლეები არიან მზად საანსამბლოდ – გააერთიანებს გოგონებისა და ვაჟების ჯგუფს და შეუდგება სადადგმო პროცედურებს, ქორეოგრაფიული კომპოზიციების დამუშავებას. მაგრამ, სანამ ამ დონემდე მიიყვანდეს თითოეულ მოცეკვავს, მანამ ხდება მშობლებთან გარკვეული საუბრების ჩატარება, რათა მათ გააცნობიერონ თუ რაოდენ დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს თითოეულ მათგანს, მოსწავლეს, მშობელს, იყვნენ ანსამბლის წევრები. ეს მძიმე და საამაყო ტვირთია, რომლის ზიდვაც ყველას არ ძალუძს. უკეთეს შემთხვევაში ქორეოგრაფი იღებს მშობელთა მხარდაჭერას. მან უკვე უნდა გაითავისოს, რომ უკვე ის არის დატვირთული უდიდესი პასუხისმგებლობით, რაც ხშირ შემთხვევაში გვაძლევს ძალიან კარგ შედეგს. ანსამბლი იწყებს განვითარებას, იზრდება მისი მხატვრული და საშემსრულებლო დონე, აღწევს დიდ წარმატებებს. ეს შედეგი გამოიწვია სტაბილურობამ, თანამშრომლობამ, მხარდაჭერამ, რომლის გარეშეც ერთი პედაგოგ-ქორეოგრაფი, რაგინდ მცოდნე და ენერგიულიც უნდა იყოს, ანსამბლს ვერ შექმნის და, თავისთავად, მაღალი



დონეც არ ექნება. თანადგომისა და მხარდაჭერის გარდა ანსამბლისათვის აუცილებელია მუსიკალური გაფორმება, ეროვნული კოსტიუმები, სარეპეტიციო ატრიბუტიკა, მოსწავლეთა სტაბილური დასწრება, წლის ბოლოს 10-15-დღიანი შეკრებები, სადაც მონოლითად იკვრება და იხვეწება ანსამბლი. ორჯერადი, ხანაც სამჯერადი მეცადინეობები, სცენური, ასევე ჩაცმის კულტურის შესწავლა-დახვეწა და კიდევ უამრავი წვრილმანი, რომლის გარეშეც ანსამბლი ვერ ან არ შედგება.

**იური ტორაქი,**  
ქართული ქორეოგრაფიის ამადარი,  
ღირსების ორდენის კავალერი

## ყ უ რ ა დ ე ბ ა !

იმათ საყურადღებოდ, ვისაც მომავალში საკუთარი თავი ქორეოგრაფ-პედაგოგის, დამდგმელ-ქორეოგრაფის, ქორეოგრაფ-რეჟისორის საკმაოდ მძიმე, მაგრამ საინტერესო ბოლოში წაზმოუდგენია!

ზემთ ჩამთვლილი პრეტენსიები ჩვენში, ტრადიციულად, პრესტიჟულად ითვლება, რის გამოც მათ დაუფლებას დღესაც ბევრი მიესწავფის. აღნიშნული მისწრაფება კიდევ უფრო გაძლიერდა მას შემდეგ, რაც გასული საუკუნის ბოლოს თბილისის კულტურის ინსტიტუტის, შემდგომში კულტურისა და ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის, ბოლოს კი რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის ბაზაზე ჯერ დაიწყო, მერე კი საბოლოო სახე შეიძინა ქართული ცეკვის დამდგმელ-ქორეოგრაფის აღზრდა-ჩამოყალიბების საქმემ. პარალელურად ჩვენში ტრადიციული სახე შეინარჩუნა ქორეოგრაფთა მომზადების მანამდე აჩვენებულმა ფორმამ, რომელიც უმაღლესამდე განათლების სისტემაში აღნიშნული პრეტენსიის სპეციალისტებს ამზადებდა. დღემ და მასშტაბებმა ახალი მითხვენები მთავრდა.

აღნიშნულის გამო საქართველოს ქორეოგრაფიის მოდერნიზაცია შემოქმედებით კავშირში თავმოყრილი ძალების შესაძლებლობათა გათვალისწინებით, რომლებიც ინტენსიურად მუშაობენ პედაგოგ-ქორეოგრაფთა კვალიფიკაციის შემდგომი ამაღლებისათვის, გაიხსნა და ფუნქციონირებს ინსტიტუტი, სადაც საგანგებოდ ამზადებენ „ქორეოგრაფ-რეპეტიტორებს“.

სასწავლო კურსი ერთწლიანია, მუშაობს თეორიულ-პრაქტიკულ ბრინჯაბით და ნელ-ნელა იძენს სტაბილური სასწავლო სტრუქტურის სახეს.

კურსმოსმენილები იღებენ სათანადო დოკუმენტს, დიპლომის სახით.

გეპატივებით ყველას, ვისაც შემდგომში დამდგმელ-ქორეოგრაფობა და მასთან გათანაბრებული სპეციალისტების მიღება, ან უბრალოდ წარმატებული პრაქტიკული საქმიანობის გამლა სურს, აუცილებლად გაიაროს ჩვენს ბაზაზე აჩვენებული „ქორეოგრაფ-რეპეტიტორის“ სასწავლო კურსი.

**ინსტიტუტის ადმინისტრაცია**

## სეკვა ბედნიერება!

„ბავშვობაში სულ ვფიქრობდი: ალბათ რა მოსაწყენია ცხოვრება იმათთვის, ვინც არ ცეკვავს“.

**ნინო რამიშვილი**



„არსებობს ამ ქვეყნად ცეკვაზე დიდი ბედნიერება?! შეიძლება არსებობს კიდევ, მაგრამ თითოეული მოცეკვავისთვის, ვისაც სცენის მტვრის გემო და ტემპიანი, ქართული მუსიკა სისხლ-ძარღვში უგრძნია, მისთვის ქართული ცეკვა მთელი ცხოვრებაა...“ სწორედ ამ მოცეკვავების კატეგორიას მივუკუთვნებ, რომელთათვისაც ცეკვა ერთი სიტყვით ბედნიერებას ნიშნავს.

არ ვიცი, ალბათ სიტყვებით არ აიხსნება ჩემი ცეკვისადმი დამოკიდებულება, რადგან, რაღაც განსაკუთრებული, ჩემი ცხოვრების ყველაზე დიდი და დადებითი ნაწილია. ვგრძნობ, როგორ ვიცვლები და ვბედნიერდები ცეკვის დროს. მე ამას ვარ მაშინ, როდესაც ქართულ ნაციონალურ სამოსში ვიმოსები და საზღვარგარეთ წარმოვადგენ როკით განფენილ ქართულ გენიას.

ძალიან პატარამ, ჯერ კიდევ ბაღში და-

ვინც ცეკვა. 6 წლის ასაკიდან კი ანსამბლ „მინდია“-ში ვცეკვავ, რომელიც ჩემი მეორე სახლი გახდა. ანსამბლის წევრი ბავშვების მიმართ ძალიან მეგობრული დამოკიდებულება მაქვს. მათთან ხომ მთელი ჩემი ცხოვრებაა დაკავშირებული. წარმოუდგენელია არ მიყვარდეს ის ადამიანები, რომლებიც 11 წლის მანძილზე მასწავლიდნენ ცეკვას – ჩვენი ანსამბლის ხელმძღვანელ-ქორეოგრაფი, ბატონი **ალექსანდრე ქართველიშვილი**, ასევე ჩემი პირველი ქორეოგრაფი, უსაყვარლესი ქალბატონი **ლელა ქართველიშვილი** და არაჩვეულებრივი ადამიანი ბატონი **გონა ლომსაძე**.

ჩემი თვალსაზრისი ქართული ქორეოგრაფიული ხელოვნების განვითარების კუთხით დადებითია, თუმცა წინააღმდეგი ვარ იმის დავინყების, რაც ჩვენმა წინაპრებმა გვიანდერძეს, რადგან ეს ჩვენი საამაყო წარსულია.

სულ რამდენიმე წლის წინ რომ გეკითხათ, ალბათ მთელ ჩემ ცხოვრებას ცეკვას დავუკავშირებდი, თუმცა ასაკის ზრდასთან ერთად შეიცვალა ჩემი დამოკიდებულება ამ საკითხთან დაკავშირებით. სწავლის გამო ბევრჯერ მიცდია ცეკვის მიტოვება, თუმცა ყოველი ცდა უშედეგოდ დასრულდა. ბედნიერი ვარ, რომ დღემდე ვდგავარ სცენაზე.

მთელი ცხოვრება მადლიერი ვიქნები ჩემი მშობლების, რადგან ყველანაირად შემინყეს ხელი, რომ ხელოვნების ამ დარგში განვითარებულყავი.

**ქეთი ილურიქა,**  
ქორეოგრაფიულ ანსამბლ  
„მინდია“ წევრი



# ტრუა სტრუი – სამყაროს ჰაბიტუაციის მიღწევა

ჩვენ ერთმანეთს შევადარეთ ქართულ ფოლკლორში დაცული ყველა სართულბიანი ფერხული, გავანალიზებთ მათი ტექსტები, იქ არსებული სხვადასხვა სიმბოლოები, შესრულების დრო და ადგილი, სახელწოდებები და მნიშვნელოვან დასკვნამდე მივყავართ. ცეკვა „ხორუმი“-ს სართულბიანი ფორმა, ისევე, როგორც ყველა მისი მსგავსი ფერხული, თავისი ასტრალური სიმბოლიზით, პირდაპირ

ბა „ხორუმი“-ც „ქორბელელს“ მსგავსად, სახლის სიუხვის, საქონლის გამრავლები-სა და მოსავლიანობის სიმბოლოა.

ვფიქრობთ, იარუსებიანი ფერხულის ზედა და ქვედა ნაწილები ცასა და მიწას უნდა აღნიშნავდეს.

**ნათელია, რომ სართულბიანი ფერხული ქართული საკულტო კომპიკისა და ორი ან სამსართულიანი უძველესი ტიპის სახლის კონსტრუქციას იმეორებს, სადაც, შერე-**

**ბრივი დაყოფა განპირობებულია მისი სხვადასხვა ფუნქციით.** გამოჩენილი მკვლევარი მირჩა ელიადე წერს, რომ უძველესი ადამიანები საცხოვრებელი ადგილების ათვისებისას იმეორებდნენ სამყაროს შესაქმნეს აქტს, ხოლო საცხოვრებელ სახლებს კი ქმნიდნენ ხატად და სახედ კოსმოსისა, რითაც იმეორებდნენ კოსმოგონიას და ამყარებდნენ ჰარმონიას სამყაროში. აღსანიშნავია, რომ ეს კოსმოგონიური

აქ ცისა და მიწის კავშირის აღდგენა ხდება ქორეოგრაფიული ფორმით. ჩვენ ვარაუდს ამყარებთ ქართველთა კოსმოგონიური მსოფლხედვა, რომელიც მთლიანად მოიცავდა არქაული ადამიანის ცნობიერებას (ქართულ ენაში შემორჩენილი სივრცული ტერმინები, არქეოლოგიური ძეგლები, კრიპტოგრაფიული გამოსახულებები და სხვ.). ეს მიგნებები დასტურდება გამოჩენილი რუმინელი ისტორიკოსისა და მითოლოგიის მკვლევარის, მირჩა ელიადეს ნაშრომებში. ყოველივე კი მეტყველებს იმაზე, რომ სართულბიანი ფერხული იქმნებოდა ხატად სამყაროსი, რომლის საშუალებით საკრალურ სივრცეში მიმდინარეობდა შესაქმნეს სიმბოლოური აქტი, ქაოსის კოსმიზირება.

როგორც აღვნიშნეთ, „ხორუმი“-ს ქორეოგრაფიულ ნახაზში ასევე სწორხაზოვან, მწყობრ ფორმასაც ვხვდებით. გაგახსენებთ იმ დაუფინყარ შთაბეჭდილებას, რასაც ამ ცეკვის ექსპოზიცია და ფინალი იწვევს. ბრძოლიდან სახლისკენ მიმავალი გამარჯვებული ლაშქარი, ერთმანეთის ზურგს უკან მდგარი მოფერხისეთა გაბმული ჯაჭვი, რომელთაც წინ თავმოსამე მიუძღვის.

ამ შემთხვევაშიც, „ხორუმის“ მწყობრი ნახაზისა და მისი მსგავსი სხვა ხალხური ცეკვების ურთიერთშეპირისპირების გზით მთელი რიგი საერთო თვისებები აღმოვაჩინეთ: 1. ყველა მთავანი სრულდებოდა ისეთ დროს, რაც მის ნაყოფიერებისა და შვილიერების მფარველ ღვთაებასთან კავშირზე მიუთითებს: მურყვამობა-საქმისაის დღესასწაულის შემადგენელი „მელია ტელეფია“ ღვთაება კვირიას დღესასწაულზე, ყველიერის კვირას სრულდებოდა. ამავე დროს იცეკვებოდა ქალაქური „იალის თამაშიც“. „ო, ჰოი, ნანო“, „ბასტის ჩაბმა“, დიღმური „საქორნილო თამაშობა“, „ძალღური“ და „ხორუმი“ კი – ქორნილოში. 2. ყველა აღნიშნულ ცეკვას ჰყავს მეთაური, რომელსაც ხელში მათრახი, ქამარი, ნეკლა ან ჯოხი აქვს; ვფიქრობთ, განსაკუთრებული ძალის მფლობელი მწყობრის მეთაური, მათრახის ან ჯოხის დაკვრით მონაწილის სიმბოლოურ სიკვდილს და მის კვლავნარმოქმნას, ახალი, გაძლიერებული პოტენციით დაბადებას ასახეიერებს; 3. გამომწვევა, ჯერ გახდა, მერე ჩაცმა – შემსრულებელთა

სამოსის აქსესუარიც, მათ შორის წითელი სარტყელი. ზოგადად სარტყელი, როგორც სემიოტიკური სტატუსის მქონე საგანი, გარკვეული სახის მითებთან, ანუ საკრალურ ისტორიებთან, ნარატივებთანაა დაკავშირებული. ეთნოგრაფების კვლევებით დასტურდება, რომ ძველად ძირითადად გამოიყენებოდა წითელი ფერის სარტყელი, რადგან ზუსტად ის ფლობდა მაგიურ ძალას. სარტყელის თავდაცვითი ფუნქცია კარგად ჩანს არქაული ადამიანის სივრცულ რწმენა-წარმოდგენებში. ის გამოიყენებოდა მაგიურ აქტებში, უზრუნველყოფდა კავშირს ცოცხალთა და მიცვალებულთა სამყაროს ცოცხალთა და მიცვალებულთა სამყაროს შორის. ვფიქრობთ, სამოსის აქსესუარი – სარტყელი, ისევე ტანზე გარშემორტყმული მის მფლობელზე, როგორც სამყაროზე მისი სივრცული სარტყელი. და როგორც ის იცავს სამყაროს გარე ძალების ნეგატიური ზემოქმედებისგან, ასევე იცავს ადამიანს, გარშემო-ზღუდავს უარყოფით ძალებს ამულეტი სარტყელიც. სარტყელი თავის სივრცეში სიმბოლოურად კრავს, აერთიანებს ადამიანის სხეულს, სულსა და სამშინველს, რის შედეგადაც მიღწევა სულიერების მწვერვალი. 4. მწყობრი ფორმის ფერხისების სახელწოდებები ნაყოფიერების კულტს, ბნელისაგან ნათელისა და სიკვდილისაგან სიცოცხლის აღდგენას უკავშირდება; „ოჰოი ნანო“ დიდის, ნანასადმი ვედრებას აღნიშნავს. „იალის“ სახელწოდება წარმოშობით არაბული სიტყვიდან „იალაჰ“ (ოი ღმერთო!) მომდინარე ჩანს, რომელიც თბილისური მრავალეროვანი მოსახლეობის გავლენით ქართული „ჰოი ღმერთო“ ნაცვლად იხმარებოდა. „ძალღური“ შემთხვევითი სახელწოდება არ გახლავთ. ძალი ციკლური სტუმრებისა და ღვთაებების იპოსტაფია. „ხორუმის“ სახელწოდების „ხორ“ ფუძე აჭარულ-ლაზურ საცხოვრებელ სახლთან „ა-ხორ“, „ო-ხორ-თან“ კავშირზე მიგვანიშნებს, რომელიც ფუნქციურად უკავშირდება საქონლის სადგომს და, შესაბამისად, ხორმოსაც (თივის ძნა). „მელია-ტელეფია“-ში ტელ|ტულ – უკავშირდება საბასეულ ტულაობას (ფუვილით ძრვა, „თევზთა პეპლვა“; სვანურ ენაში კი – სარგებელს, ტოლს, თანასწორს, სიშიშველესა და სიტყვლერს. ტელეფია, ხეთური თელიფას მსგავსი ღვთაებაა. მელია კი მაქციაა, მტაცებელი. ვფიქრობთ, „მელია-ტელეფიას“ სახელწოდებაში ორი საპირისპირო საწყისის – კეთილისა და ბოროტის სიმბოლოური დაკავშირება ხდება სამყაროს ჰარმონიზაციის, ნაყოფიერებისა და კვლავნარმოქმნისათვის. 5. შემსრულებელთა განლაგება – მწყობრის ფორმის, ერთმანეთის ზურგს უკან სწორხაზობრივად მოწყობილ მოცვეკვავეთა სვლა: თუ შინაარსობრივად ყოველივე ეს გამოსჭვივის თითოეული საცეკვაო ნიმუშის კომპონენტებიდან, მაშინ ფერხულის სწორხაზოვან ფორმას, ერთრიგა ფერხისებს რა სიმბოლოური დატირთვა უნდა აერთიანებდეს? ფორმა ხომ მისი შინაარსიდან მომდინარეობს. გამოსავალიც სწორედ აქედან მოვიძიეთ. თუ ჩვენ მიერ გამოკვლეულ ნიმუშებში კვლავ დაბადება-შესაქმნეს უნდა მომხდარიყო, ამისთვის აუცილებელი იყო სანყისში დაბრუნება ანუ იმ ქვეყნად წასვლა. ადამიანს კი იმ სამყაროსთან მხოლოდ ერთი სწორი ხაზი – ჰორიზონტი ამორება. სწორი ხაზი ამ შემთხვევაში ჰორიზონტის სიმბოლოა, ერთგვარი ზღვარი, რომელიც შინა და გარე სივრცეებს ერთმანეთისგან მიჯნავდა.




უკავშირდება ნაყოფიერების საწყისს, რაც მტკიცდება მათ სტრუქტურულ ფორმაში, სახელწოდებაში და ტექსტობრივ მასალაში შემორჩენილი ნიშნებით:

1) მოხეური ფერხულის „აბარბარე“-ს სახელწოდება პირდაპირ მიუთითებს სინათლის, მოსავლიანობის მფარველ, მზე-ქალის ბარბარესთან კავშირს. ფერხულის ქვეტექსტიდან იკითხება, რომ ღვთაება ბარბარეს, ბარაქისა და ნაყოფის საკეთილდღეოდ, წვიმის მოსვლას შესთხოვდნენ; 2) თუშური „ქორბელელა“ ხატში სრულდებოდა და მისი შესრულებისას თუში თავის მომავალს იკვლევდა. მისი რიტუალობა სასიმღერო ტექსტიდანაც ირკვევა. რაც შეეხება სახელწოდებას, „ქორბელელა“ სახლის სიუხვის, საქონლის გამრავლებისა და მოსავლიანობის სიმბოლოა; 3) მნიშვნელოვანად მიგვანიშნა თუშურსა და მოხეურ ფერხულებში ლუდის, როგორც საკულტო სასმელის, არსებობის ფაქტიც; 4) სვანური სართულბიანი ფერხული „მირმინქელა“ – სვიფზე, წმინდა ცაცხვთან სრულდებოდა. ხე კი, როგორც ცნობილია, სიცოცხლის სიმბოლოა. ამას გარდა, ის კვირიას სადიდებელი რიტუალის ნაწილიც იყო; 5) ის ფაქტი, რომ მესხეთში, ნაყოფიერების რიტუალში, ბერიკაობაში, აბამენ სამსართულა „სამყრელოს“, კიდევ ერთხელ მიუთითებს ამ ფერხულების ნაყოფიერების კულტთან კავშირზე; 6) პროფესორ ლ. გვარამაძის განმარტებით, ფერხულის „მადლი მახარობელი“-ს ტექსტში გაზაფხულისა და ზამთრის ბრძოლა აისახებოდა; 7) ფერხული „ზემყრელოც“ ნაყოფიერებისა და ციური ღვთაებისადმი მიძღვნილი, რასაც ადასტურებს როგორც ტერმინი, ასევე სასიმღერო ტექსტი. ამის ნათელი მაგალითია მასში ნახსენები პური, ქერი, მზე, თოვლი. ეს უკანასკნელი პარალელს პოულობს მურყვამის სვანურ კომპოზიციონშიც, რომელიც ნაყოფიერების ღვთაება კვირიას ეძღვნებოდა. ქართველთა კოსმოგონიური თვალთახედვით თუ ვიმსჯელებთ, სახელწოდება „ზემყრელო“ კოსმიურ სიმბოლიკას უკავშირდება. 8) გურულ-აჭარული „ხორუმი“ ქორნილოში სრულდებოდა. მის სახელწოდებაში ნათლად ჩანს ცეკვა „ხორ-უმის“ აჭარულ-ლაზურ საცხოვრებელ სახლთან „ა-ხორ“, „ო-ხორ-თან“ კავშირი, რომელიც (სახლის სართული) ფუნქციურად უკავშირდება საქონლის ზამთრის სადგომს და, შესაბამისად, თივასაც. ამდენად, სახელწოდე-

მსოფლხედვა დევს ტაძრის კონსტრუქციამაც. ტაძრის სიმბოლოურად, სივრცობრივ დაყოფაზე მიუთითებს ებრაელი ისტორიკოსი იოსებ ფლავიუსი: ტაძრის ეზო სიმბოლოურად აღიქმებოდა როგორც ზღვა (წყალი), ტაძრის შუა ნაწილი აღნიშნავდა მიწას, ხოლო „წმინდათა წმინდა“ – ცას.

რაც შეეხება საქართველოს მთიანეთში დღემდე შემორჩენილ 4,5,6 სართულიან კომპებს, ისიც ქართველთა კოსმოგონიურ წარმოსახვას იმეორებს. როგორც ვერა ბარდაველიძე აღნიშნავს, საქართველოს მთიანეთის საკულტო კომპები გამოშხატველი იყო ცისა და დედამიწის კავშირისა. თუშეთის ეროვნული მუზეუმის „კესელოების“ დირექტორმა, ბატონმა ნუგზარ ბედოიძემ ჩვენთან საუბრისას განაცხადა, თუშური კომპებიც კი ქართველთა კოსმოგონიურ სივრცობრივ დაყოფას ემორჩილებიან. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ კომპის შუა სივრცე/სკენელი კიდევ რამდენიმე საფეხურად იყოფა, გამომდინარე საჭიროებიდან, ხოლო ზედა და ქვედა სართულები – ზეცასა და ქვესკნელს განასახეიერებს.

ამდენად, ჩვენი ვარაუდი იმის შესახებ,



რომ სართულბიანი ფერხულის აგებულება კოსმიურ დონეებთან არის დაკავშირებული და იმეორებს სამყაროს სივრცობრივ კონსტრუქციას, მსგავსად საცხოვრებელი, სამლოცველო სახლისა და საცხოვრებელ-თავდაცვითი კომპებისა, არც თუ უსაფუძვლო აღმოჩნდა. ის კოსმოსის საკრალურ სფეროებთან კონტაქტის, კომუნიკაციის საშუალება იყო. თანამედროვე ტერმინოლოგიით სართულბიანი ფერხული იმაგო მუნდის ნაირსახეობაა.

თავდაპირველ ნიაღში და განახლებული ძალებით უკან, ამ ქვეყანაში დაბრუნებას უნდა მიუთითებდეს. რაც შეეხება ტანსაცმლის შემოხევას, რაც სწორად აღნიშნება ვეგეტატიური ღვთაების რიტუალებში, ადამიანთა მიერ ნაყოფიერების მითვისებასა და თავის სასიკეთოდ გამოყენებაზე უნდა მეტყველებდეს. შავით შემოსვა კი, ისევე როგორც ხალხის გამურვა, თითქოს ბნელი ძალების თვალის ასახვევი ფანდი იყო; აქ ყურადღებას იპყრობს აჭარული





C  
M  
Y  
K

# ქორეოგრაფიული ანსამბლი „ჩირადანნი“



ნუგზარ კაპანაძე

ღვანულმოსილი და ამაგდარი ქორეოგრაფი **ნუგზარ კაპანაძე** 1947 წლის 21 ოქტომბერს, საჩხერეში, მოსამსახურის ოჯახში დაიბადა. 1965 წ. დაამთავრა მშობლიური ქალაქის №1 საშუალო სკოლა. ბატონი ნუგზარი ქორეოგრაფ აკაკი ცერცვაძის პედაგოგობით ბავშვობიდანვე ეზიარა ქართული ცეკვის ხელოვნებას. სტუდიიდან სულ რაღაც ერთ წელიწადში ცხიათურის ქორეოგრაფიულ ანსამბლ „ციცინათელაში“ გადაიყვანეს, რომლის ხელმძღვანელი გახლდათ, საქართველოს დამსახურებული არტისტი, ცნობილი მოცეკვავე, ანგანსევენული **მიხეილ შუბაძე**. სკოლის დამთავრების შემდეგ ს. ზაქარიასის სახელობის კულტურულ-საგანმანათლებლო სასწავლებელში აბარებს. ჯგუფს ხელმძღვანელობდა ქართული ქორეოგრაფიის დიდი მოჭირნახულე, **კონსტანტინე (კონო) მანჯგალაძე**. სწორედ მან შეიტანა უდიდესი წვლილი ბატონი ნუგზარის პროფესიონალ ქორეოგრაფად ჩამოყალიბების საქმეში. სასწავლებლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ (1972 წ.), მუშაობას იწყებს თბილისის 123-ე საშუალო სკოლაში. ამ სკოლის ბაზაზე, 1973 წ. ჯერ ქორეოგრაფიული სტუდია, შემდეგ კი ქორეოგრაფიული ანსამბლი „ჩირადანნი“ ჩამოყალიბდა, რომელსაც ბატონი ნუგზარი დაარსებიდან დღემდე წარმატებით ხელმძღვანელობს.

1987 წელს იგი აბარებს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალურ ინსტიტუტში, რომელსაც 1992 წ. წარმატებით ამთავრებს. ანსამბლ „ჩირადანნი“ საინტერესო შემოქმედებით ბიოგრაფია აქვს. არსებობის მანძილზე არაერთგზის მონაწილეობდა რესპუბლიკის მასშტაბით გამართულ ოლიმპიადებსა თუ კონკურსებში. 1976 წელს, გერმანია

– საბჭოთა კავშირის ახალგაზრდობის ფესტივალზე „ჩირადანნი“ პირველ დიდ წარმატებას მიაღწია და ფესტივალის პირველი პრიზი დაიმსახურა. 1980 წელს წარმატებით მონაწილეობდა მოსკოვის ოლიმპიადებში, 1985 წელს კი მოსკოვის მსოფლიო ახალგაზრდობის ფესტივალში; 1987 წელს, მოსკოვის ყრილობათა სასახლეში გამართულ ფესტივალ-კონკურსზე ანსამბლი დაჯილდოვდა პირველი პრიზით – მსუბუქი ავტომობილით.

ანსამბლმა „ჩირადანნი“ 14-ჯერ იმოგზაურა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში, 3-ჯერ – გერმანიაში, 3-ჯერ – იუგოსლავიაში, რუმინეთში, ბულგარეთში, კუბაში, საფრანგეთში, ფინეთში, დანიაში, ბელგიაში,



ჰოლანდიაში, ეგვიპტესა და სირიაში. ანსამბლი არსებობის მანძილზე 60-ჯერ იმყოფებოდა საზღვარგარეთ. 1990 წლიდან კი ყოველწლიურად მონაწილეობს თურქეთის ქალაქ სამსუნში გამართულ ფოლკლორის საერთაშორისო ფესტივალ-კონკურსში, საიდანაც ყოველთვის

წარმატებული ბრუნდება.

ბატონ ნუგზარს უკვე მრავალი წელია გვერდში უდგას თავისი აღზრდილი, ანსამბლის ყოფილი მოცეკვავე, ნიჭიერი ქორეოგრაფი **დავით გოგალაძე**. ბატონმა დავითმა, წარმატებით დაამთავრა ს. ზაქარიასის სახელობის კულტ-საგანმანათლებლო სასწავლებელი და დღემდე ერთგულად და აქტიურად ემსახურება ქართულ ქორეოგრაფიულ ხელოვნებას.



დავით გოგალაძე

ბატონ ნუგზარს ეამაყება, რომ მისი აღზრდილები დღეს აკადემიურ ანსამბლებში აგრძელებენ ცეკვას, მრავალი კი საბავშვო ქორეოგრაფიას ემსახურება.

2012 წლის 21 ივნისს, პროფკავშირების კულტურის ცენტრში ჩატარდა ანსამბლ „ჩირადანნი“ 35 წლისადმი მიძღვნილი საღამო. ღონისძიებაში მხოლოდ ბატონი ნუგზარის აღზრდილები მონაწილეობდნენ. მაღლიერების ნიშნად, ყოფილ პედაგოგს მოცეკვავეებმა სიურპრიზი გაუკეთეს – საჩუქრად გადასცეს ავტომანქანა. ეს არა მარტო დამსწრე საზოგადოებისთვის, არამედ ბატონი ნუგზარისთვისაც იმდენად მოულოდნელი იყო, რომ ყველა განცვიფრებული და გაოგნებული დარჩა მომხდარით.

**ბავშვთა ქორეოგრაფიაში განუვლი დიდი ღვანლისთვის ნუგზარ კაპანაძეს, 1988 წ. მიენიჭა საქართველოს დამსახურებული არტისტის წოდება, მოგვიანებით კი დაჯილდოვდა ლირსების ორდენით. 2014 წლის 5 აპრილს, საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირის გადაწყვეტილებით ბატონი ნუგზარი ჯილდოვდება „ქორეოგრაფიის ბრწყინვალეების“ ორდენით, ხოლო ანსამბლ „ჩირადანნი“ მიენიჭა „სანიმუშო საბავშვო სახალხო ქორეოგრაფიული ანსამბლის“ წოდება.**





# ქორეოგრაფიული ანსამბლი „ვარძია“



მაია ქისტაური და ჯემალ ნათენაძე

ანსამბლ „ვარძია“ დამფუძნებელი და სამხატვრო ხელმძღვანელი **ჯემალ ნათენაძე** დაიბადა 1966 წლის 5 აგვისტოს ქ. თბილისში. დაამთავრა 71-ე საშუალო სკოლა.

ახალგაზრდა და ნიჭიერი ხელოვანის შემოქმედებით გზა ჯერ კიდევ ადრეულ – ბავშვობის ასაკში დაიწყო. ბატონი ჯემალი უდიდესი სიბოთი და სიყვარულით იხსენებს პირველ მასწავლებელს – **ვანო ქსოველს**, რომელმაც ქართული ცეკვის სიყვარულსა და საიდუმლოს აზიარა. მას შემდეგ წარმატება მისი თანამდევია გახდა.

ცხოვრებაში მიღებულ უამრავ ჯილდოთაგან, ყველაზე მნიშვნელოვნად ისევ ბავშვობაში მიღებულ წარმატებას მიიჩნევს. ეს იყო საბჭოთა კავშირის ლაურეატობა მოსკოვში.

წარმატება კი წარმატებას მოსდევდა.

ბატონმა ჯემალმა ცეკვა გააგრძელა სახალხო ანსამბლ „ფერხულში“, რომელსაც ირაკლი ხმალაძე ხელმძღვანელობდა. განათლების გაღრმავების მიზნით სწავლა განაგრძო საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, ასევე დაამთავრა სერგო ზაქარიაძის სახელობის კულტურულ-საგანმანათლებლო სასწავლებლის ქორეოგრაფიული ფაკულტეტი. ბატონმა ჯემალმა იმ პერიოდში ცეკვა დაიწყო ფიზკულტურის ინსტიტუტთან არსებულ ქორეოგრაფიულ ანსამბლ „მარულაში“, რომელსაც **ვახტანგ ჭყონია** ხელმძღვანელობდა. სწორედ

ამ ანსამბლში შეხვდა თავის მომავალ მეუღლეს, ქალბატონ მაია ქისტაურს, რომელიც არა მარტო ცხოვრების მეგობარი, არამედ მისი საქმიანი პარტნიორი და გვერდში მდგომი გახდა.

**მაია ქისტაური** დაიბადა 1969 წლის 18 აგვისტოს ქ. თბილისში. მის მიერ ქართულ ქორეოგრაფიულ ხელოვნებაში გადადგმული ნაბიჯები უკავშირდება გორკის კულტურის სასახლესთან არსებულ სტუდიას და პირველ ქორეოგრაფს ანდრო დოლიძეს. სკოლის დამთავრებისთანავე სწავლა განაგრძო თბილისის სერგო ზაქარიაძის სახელობის კულტურულ-საგანმანათლებლო სასწავლებელში ქორეოგრაფიულ ფაკულტეტზე. პარალელურად ცეკვავდა რკინიგზელთა სასახლეში ქორეოგრაფ გივი ლაცაბიძის ხელმძღვანელობით. ქალბატონი მაია სწავლას აგრძელებს მოსკოვის კულტურის მუშაკთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების საერთაშორისო ინსტიტუტში ქორეოგრაფიის განხრით. ასევე დამთავრებული აქვს ქ. თბილისის დამოუკიდებელი ინსტიტუტის პედაგოგიკის ფაკულტეტი.

2005 წელს, ქ. თბილისის კერძო მრავალპროფილიანი სკოლა „ლილეს“ ბაზაზე ჯემალ ნათენაძე ქმნის ბავშვთა ქორეოგრაფიულ ანსამბლ „ვარძია“. ბატონი ჯემალისა და ქალბატონი მაიას დაულალავმა შრომამ შედეგი გამოიღო და 1 ნელინადმი (2006 წ.), რკინიგზელთა კულტურის სახლში გამართულ ბავშვთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე, დებიუტანტმა ანსამბლმა დიდი მოწონება დაიმსახურა.

ანსამბლი „ვარძია“ საქართველოს თუ მის ფარგლებს გარეთ გამართული ფესტივალ-კონკურსების მრავალგზის გამარჯვებულია:

2007 წ. – IX საერთაშორისო ფესტივალი „ფოლკ-ლორიადა“ – ნომინაცია „ფესტივალის აღმოჩენა“ და ფასიანი საჩუქარი;

2007 წ. – რესპუბლიკური ოლიმპიადა – I ხარისხის დიპლომი და ოქროს მედალი;

2007 წ. – თურქეთი, ქ. ალანია (კონაკის ფესტივალი) – ლაურეატის დიპლომი;

2008-09 წწ. „ფრიდონისეულზე“ წარმატებული გამოსვლისთვის ანსამბლი ჯილდოვდება ლაურეატის ნოდებით.

2008-09 წწ. – „ფოლკარტი“ ანსამბლს აჯილდოვებს დიპლომით აქტიური შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის;

2009 წ. – ფესტივალი „ერთსულოვნება“ – ლაურეატის დიპლომი;

2009 წ. – ქ. კობულეთი, IV რესპუბლიკური ფესტივალ-კონკურსი „ზღვის ჰარმონია“ – „გრან-პრი“;

2009 წ. – თბილისის მერიის საპატიო სიგელი – თბილისობის 30 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო ღონისძიებაში აქტიური მონაწილეობისათვის;

2009 წ. – ფონდი „კეთილი ნების დესპანი“, „ნიჭიერ ბავშვთა ფორუმში“ წარმატებული მონაწილეობისათვის ანსამბლ „ვარძიას“ აჯილდოვებს ოქროს მედალით.

2010 წ. – ჯანო ბაგრატიონის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი ფესტივალ-კონკურსი – ოქროს მედალი და ლაურეატის დიპლომი;

2010 წ. – ანსამბლმა „ვარძიამ“, აჭარის სახელმწიფო ანსამბლთან ერთად, დავით ნულუკიძის შემოქმედებით სალამოზე ღირსეულად გამოავლინა თავი;

2012 წ. – ბულგარეთი, ქ. ვარნა, IX საერთაშორისო ფესტივალ-კონკურსი „სლავიანსკი ვენცე“ – I ხარისხის დიპლომი;

2013 წ. – ბულგარეთი, ქ. ნესებრი – „გრან-პრი“.

*განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლი „ვარძია“, 2010 წლიდან აქტიურად მონაწილეობს საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში და არა ერთხელ უსახელებია თავი. შრომა და ამაგი ნამდვილად დაუფასდათ ბატონ ჯემალს და ქალბატონ მაიას – 2013 წ. საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირის დადგენილებით ანსამბლ „ვარძიას“ მიენიჭა სანიმუშო საბავშვო სახალხო ქორეოგრაფიული ანსამბლის ნოდება. 2014 წ. 5 აპრილს, ფრიდონ სულაბერიძისადმი მიძღვნილ მასშტაბურ ღონისძიებაზე, ბატონ ჯემალ ნათენაძეს გადაეცა საპატიო ჯილდოები: ქ. თბილისის მერიის ინიციატივით დაჯილდოვდა „კულტურის ამაგდარისა“, ხოლო საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირის მიერ „ქორეოგრაფიის ამაგდარის“ ორდენებით.*

*ვუსურვოთ ბატონ ჯემალსა და ქალბატონ მაიას წარმატებები შემოქმედებით გზაზე. დაე მრავალჯერ გაეზარებინოს მათ მიერ შექმნილ ანსამბლს ქართული თუ უცხოელი მაყურებელი ქართული ხალხური ცეკვების შესრულების მაღალი საშემსრულებლო ხელოვნებით.*







**გიორგი  
ბერუშვილი**

გიორგი (მალმენდი) ბერუშვილი დაიბადა 1948 წ. 7 ნოემბერს ქ. თბილისში. ჯერ კიდევ 5 წლის ბავშვს, დედამ – ნატალია ქობილაშვილმა შეაყვარა და ასწავლა ქართული ცეკვა. „მარიამობას“ დიდი დღესასწაული იმართებოდა. ხალხი ზეიმობდა, ცეკვავდა, იმართებოდა ჭიდაობა და სხვა სანახაობრივი ღონისძიებანი. ერთხელაც გულმა ვერ მომითმინა, სხვათა ცეკვის შემხედვარემ, ფეხსაცმელები გავიძრე და თითის წვერებზე დავიწყე ცეკვა. ხალხი გაკვირვებული მიყურებდა. შეხედეთ, შეხედეთ, ეს პატარა ბიჭი რა კარგად ცეკვავსო. სახლში ბედნიერი დავბრუნდი. ფეხის გულუბში მინდვრის ეკლები მქონდა შესობილი, მაგრამ ამას არაფრად დაგიდედით.



**კეთევან ბერუშვილი**

ეს იყო ჩემი პირველი გამოსვლა საზოგადოების წინაშე, – იგონებს ბატონი გიორგი. 7 წლისა თბილისის 111-ე საშუალო სკოლაში შეიყვანეს. სკოლის ცეკვის წრეს ხელმძღვანელობდა, დღეს უკვე მსცოვანი, ამავდარი, დამსახურებული პედაგოგი **ჭიჭიკო ბოხუა**. პატარა გიორგი იღეთებს სწრაფად ითვისებდა, ამიტომ ბატონმა ჭიჭიკომ მალევე გადაიყვანა ანსამბლში. წარმატება წარმატებას მოსდევდა, რაც უფრო მეტ ხალისსა და ცეკვისადმი სიყვარულს სძენდა ბავშვს. სკოლის დამთავრების შემდეგ გიორგი ბერუშვილმა ჩააბარა კულტურულ-საგანმანათლებლო სასწავლებელში ქორეოგრაფიულ განყოფილებაზე. მისაღებ გამოცდაზე ფიურის წევრები იყვნენ: **დავით ჯავრიშვილი, კონსტანტინე მანჯგალაძე, ავთანდილ თათარაძე, ანტონ ჩიხლაძე და ლილი გვარამაძე**. ასეთი სახელოვანი პიროვნებების წინაშე წარდგომა დიდი პატივი იყო ბატონი გიორგისათვის. სასწავლებელში სწავლის პარალელურად ცეკვავდა **ბუხუტი დარახველიძესთან**. შემდეგ იყო სახელმწიფო ანსამბლი. ამ პერიოდს ბატონი გიორგი დიდი სიამოვნებით იხსენებს: – ანსამბლში „ტრიუკარ გიორგი ბეროს“ მეძახდნენ. დატვირთვაც უზარმაზარი მქონდა, მაგრამ რას ვიზამდი. ყველაფრისთვის უნდა გამეძლო და ვუძლებდი კიდევ.

ანსამბლთან ერთად გიორგი ბერუშვილმა თითქმის მთელი მსოფლიო მოიარა. იყო უამრავი წარმატება, აპლოდისმენტები. ქართული ცეკვის შესრულებით ნა-სიამოვნები მაყურებელი აღფრთოვანებული ტოვებდა

საკონცერტო დარბაზებს. რამდენიმე წლის შემდეგ ბატონმა გიორგიმ მუშაობა დაიწყო საავიაციო ქარხნის კულტურის სახლში ქორეოგრაფად. მართლაც კარგი ანსამბლი ჩამოაყალიბა. აქაც არ მოკლებიათ წარმატებები და ხალხის სიყვარული. იმ პერიოდში მუსიკალურ-ქორეოგრაფიულ საზოგადოებასთან გაიხსნა საქართველოს ქორეოგრაფიული უნივერსიტეტი, რომელიც გიორგი ბერუშვილმა წარმატებით დაამთავრა. პარალელურად, ნახევარ განაკვეთზე მუშაობდა მუსიკალურ-ქორეოგრაფიულ საზოგადოებაში, რომელსაც მაშინ ოთარ გორდელი ხელმძღვანელობდა.

1968 წელს, გიორგი ბერუშვილმა ჩამოაყალიბა ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლი „ოცნება“, რომელსაც დღემდე წარმატებით ხელმძღვანელობს. ბატონი გიორგი სიამოვნებით იხსენებს საგარეჯოს დიდ თეატრში მუშაობის დროსაც. იმ პერიოდში, რაიკომის პირველი მდივანი ქალბატონი მედიკო მეზერიშვილი ყოფილა, რომელიც ყველა პირობას უქმნიდა ბატონ გიორგის, რათა ანსამბლი ერთ-ერთი საუკეთესო და წარმატებული ყოფილიყო.

ამჟამად, ბატონი გიორგი, მეუღლესთან, ქალბატონ ქეთევან ბერუშვილთან ერთად სათავეში უდგას თბილგვირაბმშენის კულტურის სახლში არსებულ ანსამბლს, რომელსაც სახელად „ოცნება“ ჰქვია. პარალელურად მუშაობენ გარდაბნის რ-ნის სოფელ სართიჭალის №1 საჯარო სკოლაში ქორეოგრაფებად.

ბატონი გიორგი და მისი მეუღლე – ქეთევან ბერუშვილი საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირის წევრები არიან. მათ მდიდარ ბიოგრაფიაში უამრავი საპატიო ნოდება მიითვლება: ბრძანდებიან ხელოვნების დამსახურებული მოღვაწეები, ღირსების ორდენის კავალრები, ქართული კულტურის ამავდარები, მრავალგზის ფესტივალ-კონკურსის ლაურეატები. მათი ხელმძღვანელობით ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „ოცნებამ“ არა ერთ წარმატებას მიაღწია. ღვანდცი დაუფასდათ: საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირის გადწყვეტილებით ანსამბლ „ოცნებას“ მიენიჭა „სანიმუშო საბავშვო სახალხო ქორეოგრაფიული ანსამბლის“ ნოდება.

ანსამბლის რეპერტუარი ძალზე მრავალფეროვანია, მაგრამ განსაკუთრებით გამოარჩევენ ეროვნულ მოტივებზე დადგმულ ცეკვას სახელწოდებით „საზეიმო“. ცეკვა მიდის ქართული ეროვნული დროშის ქარგვის ფონზე, რომელსაც ყველა ქართველისთვის განსაკუთრებული დატვირთვა აქვს. ანსამბლი „ოცნება“ ცეკვა „საზეიმოთი“ არა ერთხელ წარსდგა მაყურებლის წინაშე და დიდი მოწონებაც ხვდა წილად.

ბატონ გიორგის და ქალბატონ ქეთევანს ოჯახი და შთამომავლობაც ღირსეული ჰყავს. ხელოვნებისადმი ლტოლვა და სიყვარული არა მარტო შვილებს, არამედ შვილიშვილებსაც გადაეცათ.

ვაჟიშვილი – **ანზორ ბერუშვილი** ყოფილი მოცეკვავეა და ახლაც აპირებს დიდ ქორეოგრაფიულ ხელოვნებაში დაბრუნებას; შვილიშვილი თამთა – ნინო ანანიავილითან ცეკვავს; სიძე – ქალიშვილის ქმარი, სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლ „რუსთავის“ მუსიკოსი გახლავთ.

**ვახუტი „საქართველოს ქორეოგრაფია“ წარმატებებს, წინვლას და დიდხანს სიცოცხლეს უსურვებს ამავდარ ქორეოგრაფებს. მრავალგზის გაეხარებინოს მათ მიერ შექმნილი ორივე ანსამბლს არა მარტო ქართველი, არამედ უცხოელი მაყურებელი ქართული ხალხური ცეკვების შესრულების მაღალი საშემსრულებლო ხელოვნებით.**

# ქორეოგრაფიული ანსამბლი „ოცნება“



C  
M  
Y  
K



# ქორეოგრაფიული ანსამბლი „ამაღლება“

C  
M  
Y  
K



გურამ ინასარიძე

დალოცვილი და ღვთივკურთხეული მხარეა სამცხე-ჯავახეთი, თვითონ ძირძველი საქართველო, ქართველი ერის სულიერი მშვენიერების დიდი ნიშან-სვეტი. ზნე-ჩვეულებებს, პატიოსნებას ადამიანური ღირსების სამოსში ახვევს აქაური ხალხი. ამ მხარეში საუკუნეების განმავლობაში თითქმის აკრძალული იყო ქართული საუბარი და სწავლება, მაგრამ ჟამთა სვლამ ვერ შეცვალა ქართველი კაცის ღვთით გასხივოსნებული სულიერი სამყარო.

გააფთრებით დაძრწოდნენ ცოფმორეული ურდოები. სამცხე-ჯავახეთი, მაინც ვერ წამოაჩოქეს, ქართველ კაცს სიცოცხლის ხალისი და თავისი ქვეყნის ხალხური შემოქმედება ვერ ამოუშანთეს გულიდან.

„ჩემო სამშობლო, მესხეთო,  
ჭარბაგო ღვალე გძირების,  
აწმყოს იმედად ღვეთოს  
საქმენი შენი შეილესი“.

სწორედ მესხეთ-ჯავახეთის ღვიძლი შვილია გურამ ინასარიძე. იგი დაიბადა ახალციხის რაიონის სოფ. მუსხში 1953 წლის 9 მაისს. ბავშვობიდანვე ძალიან უყვარდა ცეკვა, განსაკუთრებით კი ქართული ხალხური ცეკვები. მუსხის საშუალო სკოლაში სწავლისას იგი პარალელურად დადიოდა ქორეოგრაფიულ წრეზე, სადაც ეუფლებოდა ქართულ ხალხურ შემოქმედებას. ქორეოგრაფი რაფიკა დათიკაშვილი დიდ იმედებს ამყარებდა მასზე. ეს იმედი არ გაუტრუფდა პედაგოგს. ცეკვის უზომო სიყვარულმა გურამი მიიყვანა ქ. თბილისის სერგო ზაქარაიძის სახელობის

კულტურულ-საგანმანათლებლო სასწავლებელში ქორეოგრაფიულ განყოფილებაზე, ქორეოგრაფ კონსტანტინე (კონო) მანჯგალაძის ჯგუფში. გურამი დიდი მონდომებით სწავლობდა საქართველოს ყველა კუთხის დამახასიათებელ ცეკვებს, ამასთანავე – სამეჯლისო ცეკვებსაც.

სასწავლებლის წარმატებით დამთავრებისთანავე იგი ბრუნდება მშობლიურ მხარეში და 1977 წ. მუშაობას იწყებს ახალციხის რაიონის სოფ. ურაველში ქორეოგრაფად, სადაც გახსნა ბავშვთა ქორეოგრაფიული სტუდია. ამ სტუდიის ბაზაზე 30 ბავშვის შემადგენლობით ჩამოაყალიბა ანსამბლი „ურაველი“. ეს ანსამბლი მონაწილეობას ღებულობდა რაიონის ყველა ღონისძიებაში და წარმატებით გამოდიოდა ყველა რესპუბლიკურ ფესტივალზე.

1982 წელს გურამ ინასარიძე მიწვეული იქნა ასპინძის რაიონში ქორეოგრაფად. ბავშვთა სტუდიის ბაზაზე ორი წლის შემ-

დელეგაციები.

ბავშვებს განსაკუთრებით უყვარდათ თავისი პედაგოგი და ცდილობდნენ მისგან საუკეთესოდ აეთვისებინათ ყველა ცეკვის ილეთი.

ანსამბლ „ვარძიის“ მოსწავლეებიდან განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ მანუჩარ ნარიმანიძე, მაკა ბერიძე, სპარტაკ ბერიძე, მარინა ვოსკანიანი, მეგი სეთურძე და სხვები.

გურამ ინასარიძეს დამხმარე პედაგოგი არ ჰყავდა, იგი ამ საქმიანობას მარტო ეწეოდა.

მის ცხოვრებაში დადგა პერიოდი, როცა მისი ქორეოგრაფიული საქმიანობა დროებით შეჩერდა. ამ პერიოდს იგი ყოველთვის სინანულით იხსენებს. სამაგიეროდ მისი დაფრთხილებული მოსწავლეები, ან სტუდენტები, უნივერსიტეტის ანსამბლში ცეკვავდნენ და საზღვარგარეთ დადიოდნენ. 1998 წელს ერაყში (ქალაქ ბაღდად-

გურამს ცეკვის გარეშე ვერ წარმოედგინა ცხოვრება, ამიტომ იგი 2012 წლიდან კვლავ ჩადაგა შემოქმედებით ფერხულში. იგი მოღვაწეობს აგრძელებს ასპინძის რაიონში – ვარძიის მიმდებარე ტერიტორიულ სოფლებში, თმოგვ-ნაქალაქებში. ორი წლის განმავლობაში იქ შექმნილმა ბავშვთა ანსამბლმა „ამაღლებამ“ უკვე დიდ წარმატებებს მიაღწია. 2013 წლის ოქტომბერში, ქ. ახალქალაქში ჩატარდა ფესტივალი „შემოდგომა ჯავახეთში“. ანსამბლი „ამაღლება“ დიდ წარმატებით გამოვიდა ამ ფესტივალზე და ლაურეატის წოდებაც დაიმსახურა.

გახალისებული და ენერგიით აღსავსე ანსამბლი „ამაღლება“ თავისი ქორეოგრაფის დაუღალავი შრომით კვლავ აგრძელებს შემოქმედებით მოღვაწეობას და 2014 წლის 2 მარტს მონაწილეობას ღებულობს ქ. თბილისში გამართულ ფესტივალზე „გაზაფხული შემოსულა ლენ“. აქ ანსამბლის ყველა მონაწილე დაჯილ-



დეგ უკვე შეიქმნა ანსამბლი „ვარძია“, რომელიც წარმატებით გამოვიდა ვარძიის 800 წლისთავზე რაიონის ანსამბლთან ერთად. ამ დღესასწაულს ესწრებოდნენ როგორც საქართველოს მთავრობა და კულტ-მოღვაწეები, ასევე უცხო ქვეყნის

ში გაიმართა აზიის ხალხთა ხალხური შემოქმედების ფესტივალი, სადაც მისმა აღზრდილმა ბავშვებმა (სტუდენტებმა) მონაწილეობა მიიღეს და პირველი ადგილი მოიპოვეს.

დოვდა პირველი ხარისხის მედლებითა და დიპლომებით.

ანსამბლი „ამაღლება“ აგრძელებს ნაყოფიერ მოღვაწეობას. მასში გაერთიანებული 25 წყვილი ქალ-ვაჟი დიდი რუფუნებით სწავლობს და ეუფლება საქართველოს ყველა კუთხის დამახასიათებელ ცეკვებს.

ვარძიის დღესასწაულზე ანსამბლი გამოვიდა ახალი რეპერტუარით – „მესხური ფერხულით“. ეს ძველისძველი მესხეთ-ჯავახეთის კუთხის დამახასიათებელი ისტორიული ცეკვა მოიძია და აღადგინა ბატონმა გურამმა, რამაც დიდი მოწონება დაიმსახურა. ამ ცეკვით იგი ეამბორება თავის საყვარელ კუთხეს მესხეთს.

ბატონი გურამი არის ის კაცი, რომელიც ქართულ მაღლიან საქმეს ემსახურება. მუდამ მაღლიერნი იქნებიან მის მიერ აღზრდილი თაობები. გამარჯვებული კაცის ღიმილს რა შეედრება ნეტავი? დაე გამარჯვებული კაცის ღიმილი მუდამ გეფინოთ სახეზე ბატონო გურამ.

წარმატებები გქონოდეთ თქვენს მაღლიან შემოქმედებით საქმიანობაში.





# ხალხური სეკვის სინეზისათვის!

ქვეყნის მასშტაბით უკვე გამართული და სამომავლოდ დაგეგმილი ფესტივალ-კონკურსების რიცხობრივი რაოდენობის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ქართული ქორეოგრაფიული ხელოვნება სისხლსავსე შემოქმედებითი ცხოვრებით ცხოვრობს. დღე ისე არ გაივლის, ელექტრონულმა საინფორმაციო საშუალებებმა და პრესის ორგანოებმა ქვეყნის სხვადასხვა ქალაქსა თუ რაიონულ ცენტრში ჩატარებული კონცერტების შესახებ არ მოგვითხრონ. დიდ სცენასა და მის შესატყვის მასობრიობას, როგორც იტყვიან, დიდი მადა აქვს. ეს იმას ნიშნავს, რომ უწყვეტ საკონცერტო აუიოტაჟს მოცუვავე-შემსრულებელთა უაღრესად ფართო რაოდენობა და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, შესატყვისი რეპერტუარი ესაჭიროება. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ როგორც ერთი, ასევე მეორე მიმართულებით, მდგომარეობა ერთობ მძიმე და ძნელად მოსაგვარებელია.

საქმე ისაა, რომ საფესტივალო თუ საკონკურსო ღონისძიებების უდიდესი ნაწილი ჩვენი მოზარდების ანუ მოსწავლე-ახალგაზრდობის მხრებზე გადადის. ეს ფაქტი არის ძირითადი მიზეზი იმისა, რომ საკონცერტო ღონისძიებების მხატვრულ-ესთეტიკური დონე საჭირო სიმაღლეზე ვერ ადის და უკეთესისაკენ სწრაფვის სურვილს ბადებს. მიუხედავად ამისა, არ შეიძლება იმ გარემოების დაგინყება, რომ ცეკვის სტუდიებში, წრეებსა თუ ანსამბლებში გაერთიანებული მოზარდები მუდმივი პედაგოგიური ზედამხედველობის არეში იმყოფებიან, მონყვეტილი არიან ქუჩის მავნე ზეგავლენას და ფიზიკურ-ესთეტიკური აღზრდის მიმართულებით განუვლი მუშაობის აქტიურ მონაწილე-სუბიექტებად გვევლინებიან.

აღნიშნულის გათვალისწინებით პედაგოგ-ქორეოგრაფები, სკოლების

ხელმძღვანელები, მუსიკოს-აკომპანიატორები და, რაღა თქმა უნდა, უპირველესად მშობლები, გულწრფელ პატივისცემას, გულითად მადლობას და სიყვარულს იმსახურებენ.

არსებული რეალობის ფარგლებში გაცილებით რთულადაა სარეპერტუარო პოლიტიკის საქმე და ამ მხრივ არსებული მიდგომები. ფესტივალ-კონკურსებზე საბავშვო და მოზარდთა ანსამბლები, როგორც წესი 2-3 ცეკვით გამოდიან. ეს გარემოება მოითხოვს სასცენო-საჩვენებლად გამოტანილ იქნეს ეფექტური საცეკვაო ნომრები. სწორედ ამის გამოა და ეს არა ერთხელ აღინიშნა პრესაში, რომ მთელი 3-4 საათიანი კონცერტის განმავლობაში სულ 4-5 საცეკვაო ნომერი სრულდება. ესენია: „აჭარული“, „მთიულური“, „სვანური“, „რაჭული“ და კიდევ ორი-ოდ სხვა. ამ ბოლო დროს აღნიშნულ ჩამონათვალს დამატება ე.წ. „კავკასიური“ და „აფხაზური“ ცეკვები.

ერთი წუთით, თავი დაეანებოთ იმ ფაქტს, რომ ზემოთ ჩამოთვლილ ცეკვათა დასახელებში საწყის ეტაპებზე დაშვებულია გარკვეული უზუსტობები თუ პირობითობა. გამოცდილი ქორეოგრაფები და ქორეოლოგები ერთხმად აღნიშნავენ, რომ საზოგადოდ ცეკვა „სვანური“, „აჭარული“, „რაჭული“, „კავკასიური“ თუ „აფხაზური“ არ არსებობს. ყოველ ცეკვას სინამდვილეში თავისი კონკრეტული სახე აქვს და მათ შეიძლება მხოლოდ რომელიღაც გამამთლიანებელი მოტივი, სტილი, თუ მხატვრული ელემენტები ამსგავსებდეს ერთმანეთთან.

შეიძლება ვინმემ თქვას – რა მნიშვნელობა აქვს ყოველივე ამას? ჩვენი აზრით აქვს და თანაც სერიოზული მნიშვნელობა, რადგან კონკრეტული კუთხური ელემენტების არცოდნამ თუ მისთვის ანგარიშის გაუწევლობამ უკვე

მოიტანა უარყოფითი შედეგები.

დაკვირვებული მაყურებელი და პროფესიონალი ქორეოგრაფები უკვე შეშფოთებით საუბრობენ იმის შესახებ, რომ საქართველოს სხვადასხვა კუთხისათვის დამახასიათებელი ცეკვები ცალკეული ილეთების დონეზე საოცრად დაემსგავსა ერთმანეთს. უფრო მეტიც, მათში უხეშად შეიჭრა ე.წ. „კავკასიური“ ცეკვებისათვის დამახასიათებელი უმიზნო „ტეხილები“, „ბრუნვები“, „მუხლილეთები“ და ა.შ. გასაოცარი ის არის, რომ აღნიშნული ილეთების პირველწყარო ჩრდილოკავკასიურ ცეკვებში თავის დროზე ქართული რეალობიდან გადაიტანეს ჩვენმა ცნობილმა ქორეოგრაფებმა. ახლა კი სპორტული ჟინით თუ ელემენტებით გაჟღერებული ეს მოძრაობები უკანვე გადმოაქვთ და ქართულ ცეკვებში ნერგავენ ისევ და ისევ ქართველი ქორეოგრაფები.

ორიოდ სიტყვით ცეკვა „აფხაზურის“ შესახებ.

ჩვენს მოძმე აფხაზებს აქვთ რამდენიმე ძირითადი ცეკვა, რომელიც საინტერესოა, როგორც ფორმით, ასევე შინაარსით. ეს არის „შარათინ“, „აჩუ-აჩუ“, „ნართა“...

არაფერია გასაკვირველი იმაში, რომ აფხაზურ ცეკვებში ნათლად იკითხება მთის რეგიონებისათვის დამახასიათებელი მოძრაობები, ცერ-ილეთები, შეხტომები... ამ მხრივ ის სრულიად ბუნებრივად ჯდება საქართველოს სხვა კუთხისათვის საერთო ტენდენციებში, თუმცა აქვს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი მამაკაცისა და ქალის მოძრაობებიც.

გულდასაწყვეტია, რომ ბევრმა ქართველმა ქორეოგრაფმა, რომელთაც, როგორც ჩანს აფხაზური ცეკვების შესახებ საკმაოდ ზერელე წარმოდგენა აქვთ, ამ უკანასკნელთა ნახაზში ფართოდ ჩართეს მთიულურ-ყაზბეგური



ილეთები და ილეთთა ნაკრებები. ისე გასაკვირი ალბათ არც ეს მოვლენა უნდა იყოს თუ გავითვალისწინებთ, რომ ზემოაღნიშნული ილეთები უკვე ისეთ სახასიათო, ნახევრად სახუმარო ტიპის ცეკვებშიც გამოჩნდა, როგორცაა „რაჭული“. ეს გარემოება აშკარად მიუთითებს, რომ სახეზე გვაქვს სააზროვნო შტამპები, პრიმიტიული, ცალმხრივი ქორეოგრაფიული აზროვნება.

ყველაფერი ეს ერთად აღებული გვაფიქრებინებს, რომ ქართველ ქორეოგრაფთა კორპუსში ყველაფერი ნესრიგში ვერ არის, ძალიან ბევრ სპეციალისტს სერიოზული გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება ესაჭიროება. ამაზე უნდა დაფიქრდეს ყველა, ვის ხელშიც არის ტრენინგების, ვორქ-შოფებისა და საფესტივალო გამოსვლების დროს პედაგოგ-ქორეოგრაფთა მომავალზე ზრუნვის საქმე.

ცხადია, ბევრი უნდა იფიქრონ მათ, ვისაც მომავალ დამდგმელ-ქორეოგრაფთა მომზადების სადავეები უპყრიათ ხელთ. ბოლოს კი აუცილებელია სპეციალური ლიტერატურის დიდი სერიის მომზადება, ნიგნების, ბროშურების გამოცემა და მათი ფართომასშტაბიანი პროპაგანდა.

**მურმან გამისონია,**  
კავშირის პასუხისმგებელი მდივანი

# საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს ქალბატონ თამარ სანიკიძეს!

**ქალბატონო თამარ,**  
საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ კულტურა არა მხოლოდ აყალიბებს ერის მენტალობასა და იდენტობის ფორმას, არამედ მის თვითმყოფადობას გარესამყაროს კულტურული იმპერიალიზმისგანაც იცავს. აღნიშნულ კონტექსტში კულტურის სხვა დარგებთან ერთად განსაკუთრებულ ფუნქციას ასრულებს ეროვნული ფოლკლორი ყველა თავისი შემადგენელი ნაწილით, მათ შორის, ხალხური ქორეოგრაფიული ხელოვნებით.

ქართულმა ქორეოგრაფიამ, ხალხური ხელოვნების სხვა დარგებთან ერთად დღემდე მოიტანა ჩვენი ერის ეთნოკულტურული ერთიანობისა და მენტალური თვითგამოხატვის ფილოსოფია. სწორედ ამ როლისა და მნიშვნელობის აღიარებას წარმოადგენდა ის ფაქტი, რომ მართალია

დაგვიანებით, მაგრამ საბოლოოდ მაინც ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის სასწავლო გეგმებში (ერთიანი ეროვნული სასწავლო გეგმა) შეტანილი იქნა ქართული ცეკვის გაკვეთილები.

ქორეოგრაფიული კულტურის ბედით დაინტერესებულ სპეციალისტებს, რომელთათვისაც კარგადაა ცნობილი თუ როგორი მასშტაბებით იზრდება ინტერესი და მოთხოვნები თანამედროვე ფოლკლორზე (სპეციალისტები სასწავლო-საჩვენებელი მასალები, მუსიკალური თანხლების პარამეტრები და ა.შ.), ვარაუდობდნენ, რომ სამომავლოდ პედაგოგ-ქორეოგრაფის კვირეული დატვირთვა აღნიშნული მიმართულებით გაიზრდებოდა და საგნის სწავლება უფრო სისტემურ სახეს შეიძენდა.

სამწუხაროდ, მოლოდინი არ გამართლდა. ჯერ იყო და ცეკვის სწავლების ფორმატისათვის მუსიკის სასწავლო საგნიდან ერთი კვირეუ-

ლი საათი გამოყვეს, რითაც ეს უკანასკნელი დაზარალდა, ხოლო ახალმა საგანმა ვერაფერი მიიღო. მეორეც, არავის გაახსენდა, რომ ცეკვის ნაწილებს საკმაოდ ძვირადღირებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ესაჭიროება სპეციალური ჩაცმულობა, დარბაზი, მუსიკალური თანხლება, ძელი, სარკეები და ა.შ.

ასეთ სიტუაციაში, როგორც ეს ხშირად ხდება, მოინახა ყველაზე იოლი, თუმცა უარესი გამოსავალი, კერძოდ დასრულდა პროგრამის საპილოტე სტადია და დაიწყო საუბარი იმის თაობაზე, რომ საჯარო სკოლის სასწავლო საგანთა საერთო ნუსხიდან „ცეკვა“ ამოღებულ უნდა იქნეს.

გულდასაწყვეტი და გულსატკენი იქნება თუ მუდმივ ექსპერიმენტულ რეჟიმში მომუშავე სისტემის მომსახურე სპეციალისტების დღევანდელი თაობა ვერ შეძლებს სკოლის სასწავ-

ლო გეგმებში შეინარჩუნოს მაღალი ეროვნული ღირებულების მქონე ზემოაღნიშნული საგანი.

იქნებ ჯერ კიდევ არ იყოს გვიან და საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინებით, როგორმე მოხერხდეს საჯარო სკოლის სასწავლო გეგმაში ქართული ცეკვის გაკვეთილებისათვის გამოყოფილი დროის მოცულობის არა მარტო შენარჩუნება, არამედ მისი გაზრდა. საკითხისადმი ამგვარი მიდგომა სულ სხვაგვარად დააყენებს სრულფასოვანი სასწავლო ბაზის შექმნის, ასევე პედაგოგიური კადრების მომზადების პრობლემას, რაც ხანგრძლივ პერსპექტივაში ეროვნული იდენტობის სრულად შენარჩუნებას და ქართული კულტურის მსოფლიო კულტურულ პროცესებში სრულმასშტაბიან წარმოჩენას შეუწყობს ხელს.

**საქართველოს ქორეოგრაფიის  
მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირი**



# გახსენება



კობა გელაშვილი

წავიდა ჩვენგან კეთილშობილი პიროვნება, ხალისიანი, იმედია, სამაგალითო მეგობარი და მეოჯახე-გულსატყენია ასეთ ადამიანზე წარსულში ილაპარაკო.

მოულოდნელი იყო მისი გარდაცვალება. მეზივით გავარდა სურამში, კობა გელაშვილი გარდაიცვალა. 20 აპრილს, აღდგომას, მეგობრებმა მისი 43 წლის იუბილე იზეიმეს. მეორე

რე დღეს კი, ბრწყინვალე შვიდეულის პირველ დღეს, მარადიულ სოფელში გადასახლდა...

კობა გელაშვილი დაიბადა 1971 წლის 20 აპრილს, ხაშურის რ-ნის სოფ. ნარვანში. 1994 წელს დაამთავრა საქართველოს მუსიკალურ-ქორეოგრაფიული საზოგადოების ხაშურის ქორეოგრაფიული სტუდიის სრული კურსი. 1994 წელს, სურამში, იმ დროს, როდესაც კულტურული ცხოვრება აღარ არსებობდა, კობა იყო პირველი ადამიანი, ვინც დააარსა ცეკვის ანსამბლი „ცისარტყელა“ და სიცოცხლის ბოლომდე ხელმძღვანელობდა. სხვადასხვა დროს მუშაობდა იტრიის საჯარო სკოლის, ბორჯომის რაიონის კულტურის სახლის და ხაშურის



კულტურის ცენტრთან არსებულ სახალხო ანსამბლ „ერისას“ ქორეოგრაფად. არის არა ერთი კონკურსისა და ფესტივალის გამარჯვებული და ლაურეატი.



კობა გელაშვილს დიდი ღვაწლი მიუძღვის სურამ-ხაშურში ქორეოგრაფიული კულტურის განვითარების საქმეში. 20 წლის მუშაობის მანძილზე, მან უამრავი ბავშვი აზიარა ცეკვის ხელოვნებას.

წავიდა და დაგვიტოვა განუზომელი ტკივილი და ბევრი კარგი მოგონება. წავიდა მაშინ, როცა ბევრი რამის გაკეთება შეეძლო მეგობრების, ოჯახისა და თავისი საყვარელი საქმის საკეთილდღეოდ.

მის სახელს დავინწყება არ უწერია. მის საქმეს მისი შვილი რევაზი გააგრძელებს და კობაც მარად ცოცხალი იქნება!



მარადიულ ნათელში დაივანოს შენმა ალაღმა, კეთილმა სულმა, ჩვენო მეგობარო!

საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირის გამგეობა

## ცუვა სიტუმი – სამყაროს ჰატონიგაციის ბიძგი

სხელობილი, მჭიდროდ მდგარი, მოცეკვავეთა მიერ შექმნილი ჰორიზონტალური ხაზი, მტკიცედ გადაბმულ ერთგვარ ჯაჭვს ქმნიდა. ეს იყო ხელოვნურად, ქორეოგრაფიულად შექმნილი ზღვარი, რომლის გარღვევაც ერთგვარ ლიობს ქმნიდა. ჰერმეტიკობის დარღვევა კი განაპირობებდა ორივე სამყაროს პერსონაჟების საპირისპირო სივრცეში გადანაცვლებას. ამდენად, მწყობრი ფორმის საცეკვაო ქმედებანიც კოსმიურ დონეებთან არის დაკავშირებული და სივრცის, მიღმურ რწმენა-წარმოდგენათა კომპლექსს უკავშირდება. რიტუალური სივრცეზე ვერტიკალურის ნაცვლად ჰორიზონტალურ პლანში იშლება. სწორი ხაზი სამყაროს მოდელში საიქიოსა და სააქაოს შორის მდებარეობს, როგორც გახსნილი სარტყელი. სწორედ აქ გვაქვს საქმე იმ ფენომენთან, რასაც ადამიანის „შორეული მოგზაურობა“ ჰქვია. სწორი ხაზით ხდება საკრალურ ზღვარზე გადაბიჯება, ხოლო „მიხვეული-მოხვეული“ კი წინააღმდეგობებით აღსავსე იმპეციური გზაა. და როგორც არიანდნეს ძაფმა იხსნა და „წინ წარუძღვა“ ლაბირინთიდან უკან მობრუნებული, ურჩხულის დამმარცხებელი თესვისი, ასევე მიუძღვის წინ ამა ქვეყნის ზღვარს გადასულ მოფერხისებს შორეულ გზაზე გამცილებელი თავმოსამე (მეთაური). ამგვარი მოძრავი ფერხისა, შესაძლოა ითქვას, ჰიპერსივრცობრივი გვირაბია, რომელიც ამქვეყნიურ რეალობას ზემატერიალურ სამყაროებთან აკავშირებს.

აზობრივი ორი რიგიც ამის სიმბოლური გამოხატულება უნდა ყოფილიყო, ორი განსხვავებული სანჯისის, სქესის ან სივრცის კონფლიქტი. მსგავსი სიმბოლური ფორმისაა ძველი ქართული ფერხისა „მზე შინა და მზე გარეთა“ (||მზე შინა), ასევე „სამაია“. იქ ნახსენები ნაბადავლიანი პერსონაჟი და მენესტე, ასევე, მოხვეთა ნაბადანი და საშინელი მწყემსური ქუდით მოსილი მისანი შავი კაცი – ვფიქრობთ, ერთი და იგივე პერსონაჟია, რომელიც სიკვდილსა და ხიოზურ, ქაოსურ სამყაროს უკავშირდება. „სამაიას“ ტექსტებში დაცული მინიშნებები ნამდვილად ამ ცეკვის ნაყოფიერებისა და დრო-ჟამის ცვლის მითებზე გვესაუბრება. სწორედ ამიტომ, „სამაიას“ საფერხულო ნახაზიც იღებს სწორხაზოვან, მწკრიულ ფორმას (ზღვარკედელი), რაც ორი სამყაროს, შინასა და გარეს, კეთილისა და ბოროტის დაპირისპირების სიმბოლოდ გვესახება. ასეთივე ფორმისაა ორიგა საფერხისო სანახაობა „ჰეი და რამაშო“, სადაც სამყაროული მითის მიხარული, სახალისო ინტერპრეტაცია მიმდინარეობს. ქართველ მთელთა კულტმსახურების რიტუალებში კი ნათლად ჩანს ამ მითის გააზრებული მნიშვნელობა, რომელიც ჰარმონიული ცხოვრებისთვის საჭირო აუცილებელ მაგიურ ქმედებას წარმოადგენდა. სეანური „ადრეკილას“ შესწავლისას დადგინდა, რომ ეს მოტივი მთლიანად გასდევს „მურყვამობისა“ და „კვირიას“ დღესასწაულების დრამატურგიას – ორი სოფლის, ორი მხარის შეჯიბრი ნაყოფიერების მოსაპოვებლად.

ამოხივები, რომლებიც ქსენოფონტეს მოკავშირეები გახდნენ და სამასი ნავითა და მეომრით დაეხმარნენ ბერძნებს მდინარის გადალახვაში, მტრის შესახვედრად „დაირაზმნენ შემდეგნაირად: ისინი დანაწილდნენ დაახლოებით ასეულებად, მსგავსად გუნდებისა, სწორ მწყობრში ერთი მეორის პირდაპირ... ბრძოლის წინ ერთ-ერთმა მათგანმა სიმღერა წამოიწყო – დანარჩენებმა (სიმღერის) რიტმს ფეხი აუწყვეს და გაემართნენ“ (ქსენოფონტე, ანაბასისი VI).

ამ ცეკვის ნაყოფიერების რიტუალისთვის მახასიათებელ ქორეოგრაფიულ კომპონენტებს, საუკუნეების მანძილზე კიდევ უფრო მოჭარბებული საბრძოლო სიუჟეტი ფარავდა, რაც მეცნიერების მხრიდან ამ უკანასკნელის სასიკეთოდ დასკვნის გამოტანის მიზეზი ხდებოდა. კვლევისას დადგინდა, რომ მითოსურ ცნობიერებაში ბრძოლა ერთ-ერთ უმთავრეს რიტუალად გაიზარებოდა. როგორც აღმოჩნდა, არქაული ადამიანისთვის ბრძოლა და მტრის დამარცხება, ისევე როგორც ღვთაებრივი ნადირობა ყოვლისმომცველი კოსმოგონიური იდეის სიმბოლოდ გაიზარებოდა. მ. ელიადე წერს, რომ სანამ ადამიანი შეაღწევდა დაუსახლებელ და იდუმალ სივრცეში – ქაოსში, საჭირო იყო ამგვარი მინების კოსმიზირება. რიტუალის შესრულება, რომელიც კოსმოგონიის გამარჯვებას გულისხმობდა, მტერზე აუცილებელი და სასურველი გამარჯვების სანინდარი იყო (მირჩა ელიადე). ე. ი. ვიდრე ადამიანი ფეხს შედგამდა ამ ქაოსში, ანუ ბრძოლის წინ, ის აუცილებლად ასრულებდა რიტუალებს, რომლებიც სიმბოლურად იმეორებდნენ შესაქმეს აქტს.

ამით ის ერთგვარად ენათესავება „მურყვამობის“, „კვირიას“, „ათინგერობისა“ და სხვა რიტუალების სრულ კომპოზიციას, სადაც ჩვენ ანალოგიურ საფერხისო ფორმებსა და სურათს ვხედავთ. ყოველივე ეს კი საშუალებას გვაძლევს „ხორუმში“ განვიხილოთ არა მხოლოდ როგორც ერთი ცალკეული ცეკვა მიძღვნილი ღვთაებისადმი, არამედ სრული სისტემა, რომელშიც ჩართულია ადამიანისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე ყველა აუცილებელი პირობის ჰარმონიზაცია – ნაყოფიერებისთვის ბრძოლის, სამყაროში წესრიგის დამყარებისა და დრო-ჟამის მსვლელობის კონცეფციები. ნაყოფიერებისა და ომის ღვთაების საერთო ფუნქციებზე მიუთითებს საქართველოში აღმოჩენილი ითიფალური ქანდაკებებიც, რომლებიც, როგორც იდეურად, ასევე პლასტიკით, პირდაპირ კავშირს ავლენენ ცეკვა „ხორუმთან“.

როგორც აღვნიშნეთ „ხორუმს“ ორიგა მწყობრი ფორმაც ახასიათებს. ეს მოდელი ნაყოფიერების რიტუალის თანმდევი წესია, სადაც ნათლად იკვეთება ორი საპირისპირო ძალის (კეთილისა და ბოროტის) ერთმანეთთან შებრძოლების ინსცენირება. ასეთი ფორმა შემონახულია სანახაობა-თამაშობებშიც („ნიშა ნიშა“, „ქალტაცობა“, „ოლირილილო“, „საბავშვო მელია ტელეფია“ და „ა, ნიშანი მოგვე ქალი“), რაც მისი სიმბოლური ფორმის ასახსნელად საკმაოდ მნიშვნელოვან მასალას წარმოადგენს. აქ თვალნათლივ იკვეთება ორი საპირისპირო ძალის კონფლიქტი, მოტაცება, კეთილისა და ბოროტის ბრძოლის კოსმიურ-მითოლოგიური სიუჟეტი. ყოველივე ეს კი აღნიშნულ საფერხისო ქმედებებს ერთ ციკლში აერთიანებს. სწორხ-

ამდენად, ორიგა მწყობრი ფორმის საფერხისო ქმედებები ნაყოფიერების რიტუალის თანმდევი წესია, სადაც ნათლად იკვეთება ორი საპირისპირო ძალის ერთმანეთთან შებრძოლებისა და გაჯიბრების ინსცენირება. ვფიქრობთ, დროთა განმავლობაში ეს უძველესი ფორმა საფუძვლად დაედო ქართულ ქორეოგრაფიაში არსებულ არა მხოლოდ საბრძოლო, არამედ შეჯიბრის ხასიათის ცეკვებსაც.

ჩვენ მიერ განხილულ ორიგა ფერხისებს დღემდე შეუწარმუნებია ქსენოფონტეს მიერ აღწერილი მოსინიკების ძველთაძველი საცეკვაო ფორმა, რომელსაც „ხორუმის“ ძირებს უკავშირებენ. ელიური პერიოდის საისტორიო პროზის დიდოსტატის ცნობით, ხალები მაშინ მღეროდნენ და როკავდნენ, როდესაც მტერი უყურებდა, ხოლო ნაოსანი

ვფიქრობთ, ცეკვა „ხორუმში“ არსებული ქორეოგრაფიული ნახაზი: წრიული (სოლარული, მაგიური), სართულებიანი (სამყაროს მოდელი) სწორხაზობრივი მწყობრი (ჰორიზონტალურ ჭრილში სივრცეთაშორისი ზღვარი) სტრუქტურა და ქართველი მეომრების ხაზგასმულად მონესრიგებული მწკრივები ჰარმონიული, მონესრიგებული სამყაროს სიმბოლური განსახივებაა, რომელიც უპირისპირდება იმქვეყნიურ შეუცნობელ – ქაოსს. მისი საბრძოლო ხასიათიც სწორედ ამ შეუცნობელთან, ქაოსთან შერკინებაში გამოისახებოდა (ორმწკრიული ხაზი), რაც კოსმოსთან ერთად სიკეთისა და სინათლის აუცილებელ გამარჯვებას გულისხმობდა.

დასასრულ დავძენთ, რომ 2013 წლის 28 ოქტომბერს, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის ბატონ გ. ოდიშარიას ბრძანებით (03/207), ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ინიციატივით, ჩვენი და შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ქორეოგრაფიული მიმართულების ხელმძღვანელის უ. დვალისძის, ასევე თ. მუნჯიშვილისა და ბ. ხინთიბიძის ძალისხმევით ცეკვა „ხორუმს“ არამატერიალური კულტურის ძეგლის სტატუსი მიენიჭა.

ეკატერინე გელიაშვილი,  
ეთნოქორეოლოგი



# ჯემალ ნავროზაშვილის ხსოვნის საღამო

C  
M  
Y  
K



ამა წლის 18 მაისს, 19.00 საათზე, სამების დიდი საკათედრო ტაძრის საკონფერენციო დარბაზში, საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირის ორგანიზებით ჩატარდა სახელოვანი ქართველი მოცეკვავის, საქართველოს სახალხო არტისტის, არაჩვეულებრივი პიროვნების – **ჯემალ ნავროზაშვილის** ხსოვნის საღამო.

საღამოს ესწრებოდნენ ბატონი ჯემალის ოჯახის წევრები, მისი მეგობრები, კოლეგები, სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლ „რუსთავის“, ქართული ცეკვის სახელმწიფო აკადემიური დამსახურებული ანსამბლის (ხელმძღვანელები – ილიკო სუხიშვილი და ნინო რამიშვილი) ძველი და „სუხიშვილების“ ნაციონალური ბალეტის ახალი თაობის მოცეკვავეები, ქორეოგრაფები და მისი უდიდესი ნიჭის თაყვანისმცემლები...

ლონისძიება მიჰყავდა საქართველოს სახალხო არტისტს, ბატონ **თენგიზ უთმელიძეს**.

საღამოზე ბევრი თბილი და ლამაზი სიტყვა ითქვა. დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარემ, პროფესორმა **ლაუზი (რეზო) ჭანიშვილმა**, რომელმაც განსაკუთრებულად აღნიშნა ამ შესანიშნავი პიროვნების ღვაწლი ქართული ქორეოგრაფიული ხელოვნების განვითარების საქმეში.

ჯემალ ნავროზაშვილი კიდევ ერთხელ, თბილად გაიხსენეს მისმა უახლოესმა მეგობრებმა და კოლეგებმა: საუკუნის მოცეკვავემ და ანსამბლ „რუსთავის“ სამხატვრო ხელმძღვანელმა **ფრიდონ სულაბერიძემ**, საქართველოს სახალხო არტისტმა და ლეგენდარულმა მოცეკვავემ **ომარ მხეიძემ**, ქართული ცეკვის სახელმწიფო აკადემიური დამსახურებული ანსამბლის (ხელმძღვანელები – ილიკო სუხიშვილი და ნინო რამიშვილი) ყოფილმა სოლისტმა, ბატონი ჯემალის საუკეთესო მეგობარმა **რომან ბირთველიშვილმა** და

სხვა გამომსვლელებმა...

საღამო გაალამაზეს მედუდუკეთა ანსამბლ „ქსოვრელების“ ყველასათვის ნაცნობმა და პოპულარულმა მუსიკოს-მომღერლებმა, რომლებიც ბატონი ჯემალის მეგობრები და მისი ნიჭის დიდი დამფასებლები იყვნენ.

დამსწრე საზოგადოების წინაშე წარსდგნენ გოგი ცაბაძის სახელობის 25-ე ხელოვნების სკოლის ხალხურ საკრავთა ორკესტრი (ხელმძღვანელი – **ნანა ბრეგაძე**), ქართული ფოლკლორის მონაწილეთა სახალხის ანსამბლი „ერქვანი“ (ხელმძღვანელი – **კახაბერ შაქიშვილი**) და ვაჟთა გუნდი „საგალობელი“ **მაია მიქაბერიძის** ხელმძღვანელობით, რომლებმაც თავიანთი ბრწყინვალე საშემსრულებლო ხელოვნებით ფრიად მოხიბლეს დამსწრე საზოგადოება.

ლონისძიება დასრულდა „მრავალჟამიერთი“, რომელიც ბრწყინვალედ შეასრულეს ვაჟთა გუნდმა „საგალობელმა“ და ანსამბლმა „ერქვანმა“.





# მითი რა მისი მხატვრული ფუნქცია

C  
M  
Y  
K

ცეკვა, როგორც ხელოვნების ერთ-ერთი დარგი თუ სახეობა, ბუნებრივია, ადამიანის მიერაა შექმნილი იმ ცოდნა-გამოცდილების, უნარ-ჩვევებისა და ნიჭის წყალობით, რომელიც უფალმა-ღმერთმა უბოძა მას. ღმერთმა ადამიანი დააჯილდოვა ცალკეულ საგანთა, ხელოსნობისა



თუ ხელოვნების ნიმუშების შექმნის უნარით, ოღონდ მისთვის არ მიუცია ცოდნა თუ როგორ უნდა შეიქმნას თვითონ ამგვარი საქმიანობისათვის საჭირო მასალები: ხე, ლითონი, თიხა და სხვა მისთანანი. ამიტომ ამბობენ, რომ ბუნებრივ ყოფაზე, ბუნებრივ რეალობაზე წარმატებით, მისი გარდაქმნით, რომელსაც სხვა-ნაირად კულტურას უწოდებენ, ადამიანი აგრძელებს, განავრცობს ღმერთის მიერ დაწყებულ საქმეს. ადამიანი ხომ „ღვთის ხატი“ და „ასლია“, სწორედ ეს გარემოება განაპირობებს იმ ფაქტს, რომ ადამიანი აგრძელებს უფლის მიერ წამოწყებულ შემოქმედებით-გარდამქმნელ საქმიანობას. იმისათვის, რომ სამყაროს, ადამიანის ბუნებრივი მისიის შესახებ ცოდნა არ დაკარგულიყო, უფალმა მოსეს ამცნო (გამოუცხადა) მთელი ეს საიდუმლო და მოსემაც იგი ბოჰლის პირველ მუხლებში ასახა.

მას შემდეგ კაცობრიობამ საკმაოდ დიდი ხნის ისტორია გამოიარა და გარკვეული გამოცდილებაც დააგროვა. ადამიანს მუდამ აინტერესებდა იმის

გარკვევა თუ რატომ ხდება ყველაფერი ის, რასაც ადგილი აქვს მის ირგვლივ და მის ცხოვრებაში. სწორედ ამგვარმა გონებრივმა მცდელობებმა თითქმის ყველგან, ყველა კონტინენტსა და საზოგადოებაში ადამიანი მიიყვანა აზრამდე, რომ რაც ხდება, ყველაფერი ზებუნებრივი ძალების, განგებისა და მეოხების დამსახურებაა. ასე თანდათანობით დაგროვდა ცოდნა-წარმოდგენები იმის შესახებ თუ რას და როგორ აკეთებდნენ ღმერთები უძველეს, წინაისტორიულ ხანაში, როგორ შეიქმნა სამყარო, საგნები და მოვლენები, როგორ გაჩნდა ადამიანი...

აღნიშნულ ცოდნას დღევანდელ მეცნიერულ ენაზე **მითოსი**, ან კიდევ **მითოლოგია** ჰქვია. თვითონ ეს ტერმინი ბერძნული ენიდან მოდის და ნიშნავს **სიტყვას, ამბავს, გამონათქვამს, მონათხრობს...** მითოსი ისეთი სიტყვაა, ისეთი ამბავი და მონათხრობია, სადაც აღწერილია ღმერთების საქმიანობა წინაისტორიულ ხანაში. აქვე ვხვდებით გამორჩეულ ადამიანთა თუ ნახევარადამიანთა მოქმედებების ისეთ აღწერას, რომლის შედეგად შთამომავლობას სიმდიდრის სახით დარჩა იარაღები, ურთიერთობის წესები, ტრადიციები და სხვა მათი მსგავსი საგან-მოვლენები.

როდესაც აღნიშნულ თემაზე ვსაუბრობთ, ბუნებრივად წამოიჭრება საკითხი თუ ეს ყველაფერი, ანუ ის რაც უძველეს ღმერთებსა და უშორეს წინაპრებს უკეთებიათ და ჩვენთვის გადმოუციათ, მითია, მაშ ზღაპარი რაღა არის? აქაც ხომ თვალთა და გონებით მიუწვდომელი შორეული ამბებია არეკლილი და მხატვრული ფორმით ჩვენამდე მოტანილი?

კითხვაზე პასუხის გასაცემად უპირველეს ყოვლისა იმ ფაქტს უნდა მივმართოთ, რომ ადამიანთა წარმოდგენაში ზღაპარი ტყუილია, თავშესაქცევია და მას წამდვილ ამბად არავინ მიიჩნევს. „იყო და არა იყო რა...“, მას არ აქვს მოქმედების კონკრეტული ადგილი „ერთ ქვეყანაში, ერთ დროს ერთი ხელმწიფე ცხოვრობდა...“ ე.ი. იყო და არც იყო, ოდესღაც სადღაც ვიღაც ცხოვრობდა, ებრძოდა ან ემეგობრებოდა ვიღაც თავისნაირს, აკეთებდა და არც აკეთებდა საქმეს და ა.შ.

ზღაპრისაგან განსხვავებით:  
ა) მითოსური ამბავი ხდება აუცილებლად პრეისტორიულ ხანაში (ძველი აღმოსავლეთი, ელადა, კოლხეთი...)

ბ) მითოსში მოთხრობილია ისეთი ამბები, რომელიც ჩვენს ყოველდღიურობაშიც ხდება (ცეცხლის მოპოვება, მისი ანთება და გამოყენება, ოჯახის შექმნა წყვილთა დაქორწინების გზით, ზღვის, ტბის თუ ციურ მნათობთა შექმნა და ა.შ.). ის ფაქტი, რომ ეს ყველაფერი არსებობს, დღესაც ასეთივე ამბები ხდება ჩვენს გვერდით, მითსა და მასში მოთხრობილ ამბავს დამაჯერებლობას მატებს. უფრო მეტიც, იგი სინამდვილედ განიცდება.

გ) არ არსებულა და არ არსებობს ქვეყნად ხალხი, რომელსაც საკუთარი მითები და, შესაბამისად, მითოლოგია არ ექნებოდა. ამასთან დაკავშირებით ძალზედ საინტერესოა ხელოვნების ბედობისა და მისი არსებობის საკითხიც, რადგან მითისა არ იყოს, ქვეყნად ჯერ არ უარსებიათ ისეთ ადამიანებს, მათ მოდგმასა თუ გაერთიანებას, ვისაც ხელოვნება არ ექნებოდა.




მეცნიერ-მკვლევარები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ თუ არსებობს ენა, არსებობს მითებიც, არსებობს მითოლოგია. ეს დებულება უტყუარია და მდიდარი ფაქტოლოგიური მასალით დასტურდება. მაგრამ წამოიჭრება ძნელად პასუხგასაცემი კითხვა, კერძოდ საინტერესოა მანამდე, ანუ ენის წარმოშობამდე რა მდგომარეობა გვაქვს? ან კიდევ ცნება „ენის“ ქვეშ რა იგულისხმება? ენა როგორც ინფორმაციის გადაცემის, როგორც კომუნიკაციის საშუალება თუ უკვე დამწერლობის მქონე ენობრივი გარემო? წესით ენის პირველად ფორმაში საკომუნიკაციოდ მისი ნიშნების, მისი ცალკეული ელემენტების გამოყენება უნდა იგულისხმებოდეს. ამ აზრით ცეკვის უძველესი ფორმა, როდესაც ერთი ველური მეორეს სხეულის მოძრაობით, ფესტიკულაციით აჩვენებს საიდან არის იგი, რა ცხოველები ბინადრობენ ირგვლივ, სად გაჩნდა მცხის დაცემისაგან ცეცხლი (და სხვა მსგავსი ამბები). ეს ხომ ყველაფერი ენობრივი კომუნიკაციაა? ან კიდევ გამოქვაბულის კედელზე, მის შესასვლელთან მიხატული ხელის მტევანი (ორინიაკის ეპოქიდან) ხომ შეიცავს ინფორმაციას, რომ ადგილი უკვე დაკავებულია? ფეიქრობთ, შეიძლება გაკეთდეს



დასკვნა: ცეკვის, ნახატის, თავშესაფრის და სხვა მსგავსი მოვლენების პირველადი, გამოყენებითი ფორმები უფრო ადრეულია და იგი გვიან იძენს ხელოვნების ნიმუშის სახეს, სახელსა თუ ფორმა-შინაარსს. ამასთან ხელოვნების ნიმუში ასეთ შემთხვევაში, როგორც უფრო მაღალი ფორმა თავისში მოიცავს მის წინარე ფორმა-შინაარსს, მის შესახებ ცოდნას. თუ ნათქვამს პირდაპირ გადმოვიტანთ ცეკვის ხელოვნებაზე შეგვიძლია დავასკვნათ: ცდება ის სპეციალისტი, განსაკუთრებით ქორეოგრაფი და მოცეკვავე, რომელსაც ჰგონია, რომ ცეკვაში მთავარია მოძრაობები, ტეხილები, ახტომები, მუხლდაცემები და სხვა მათი მსგავსი. ეს ყველაფერი კარგია მაშინ, როდესაც მას აქვს ფუნქციონალური შინაარსი, დანიშნულება, მოქცეულია ფაბულაში, სიუჟეტში და ა.შ.

სხვა საქმეა, რომ ერთი და იგივე ამბავი (ფაბულა) სხვადასხვა ხალხის ტრადიციებში, ხედვებსა და მიდგომებში სხვადასხვაგვარადაა გადმოცემული. ამის გამო, რომ არსებობს ამბის გაცეკვება (ცეკვად ქვეყის) განსხვავებული ვარიანტები. ბერძენი, ეგვიპტელი, სკანდინავიელი, ქართველი, სომეხი, რუსი, იაპონელი და



ყველა სხვა დანარჩენი განსხვავებულად ცეკვავს. ამაშია ქორეოგრაფიული ხელოვნების სიმდიდრე, მისი მრავალფეროვნება, კულტურის მრავალსახეობა და ერთი დაკარგვით ყველა რაღაცას კარგავს.

ოლეგ ალავიძე

**საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირის**

**ბ ა ნ კ ა რ ბ უ ლ ე ბ ა**

1. დანიშნოს საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირის საორგანიზაციო განყოფილების გამგე **კახაბერ მარკოიშვილი** ქ. თბილისის სასწავლო-აღმზრდელი და მათთან გათანაბრებულ დანესებულებებში მომუშავე ქორეოგრაფიული სტუდიების, წრეებისა და სხვა მსგავსი გაერთიანებების კურატორის დროებითი მოვალეობის შემსრულებლად.

2. დავალოს **კახაბერ მარკოიშვილს** უახლოესი პერიოდისათვის ჩაატაროს აღნიშნული ორგანიზაციების სრული ინვენტარიზაცია, შეაფასოს არსებული ვითარება და კავშირის ადმინისტრაციის წინაშე წარადგინოს სპეციალური ანგარიშის სახით.

**საქართველოს ქორეოგრაფია**

მის: **თბილისი, ც. დადიანის ქ. №26**

ტელ.: **599 90 75 65**

Facebook – საქართველოს ქორეოგრაფია [www.qor.org.ge](http://www.qor.org.ge)

**სარედაქციო საბჭო:**

რეზო ჭანიშვილი, იური ტორაძე, თენგიზ უთმელიძე, უჩა დვალისვილი, ზაურ ლაზიშვილი, მურმან გამისონია.

საავტორო უფლებები დაცულია, მასალების გადაბეჭდვა რედაქციასთან შეუთანხმებლად დაუშვებელია, ავტორთა აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციისას. ავტორები თავად აგებენ პასუხს ფაქტების, ციფრებისა თუ ციტატების სიზუსტეზე. მასალებს ხუთ ნაბეჭდ თაბახზე მეთხუთმეოვრეაზრებთ. შემოსული მასალები ავტორებს უკან არ უბრუნდება.

რედაქტორი: **ოლეგ ალავიძე**

პასუხისმგებელი მდივანი: **მანანა უშიკიშვილი**

აღმასრულებელი დირექტორი: **ზაზა მჭავანავაძე**